3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) და მოცულობის სამუშაოების შესრულების, სულ მცირე 3 (სამი) წლის გამოცდილება

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 9 ივნისის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრე-

ბელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: შპს "თბილწყალკანალი"; ს/კოდი: 203826002; ა/ა: N900467730; ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი; კოდი: 2200101502.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 ივნისის 10:00 საათიდან 1500 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

7. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები: 7.1 იურიდიული პირებისათვის: ა) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან; ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცის საქმის წარმოება; გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მონოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

7.2 ფიზიკური პირებისათვის: ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია; გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მონოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით: **ზურაბ ლონაძე,** ტელ: **487 140;** ელ. ფოსტა: **zgongadze@tbilisiwater.com** ბ) საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით **ქეთევან კაციტაძე,** ტელ: **99 67 82;** ელ. ფოსტა: **kkatsitadze@Tbilisiwater.com**

სატენდერო კომისია

# ბანცხალა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის დაბა წყნეთის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს დაბის ტერიტორიაზე გზების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესაკეთებელია: გზები, სავარაუდო საერთო ფართობი 3867 კვ მ.

2. მინოდების საცხადებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 ნოემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 ივნისის 11 საათიდან 13 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა წყნეთი, სტალინის 27 ა, დაბა წყნეთის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის: ა) ცნობებს სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრებისა

და სანაცის საქმე; ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის: ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია; ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ან მოცემულ პერიოდში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ; ბ) ინფორმაციის ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; გ) ინფორმაციის მომსახურების განვითარების საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. 5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას,

თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლება 2006 წლის 22 მაისის 10 საათიდან 2006 წლის 9 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩა № 27 ა, დაბა წყნეთის გამგეობა, შპს ბანკი "თბილწყალკანალი", კოდი 220101761, ა/ა № 34080001, საიდენტიფიკაციო კოდი 204900296.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გ. ოქლაშვილი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, საკონტაქტო ტელეფონი 22-83-19, და ნ. ბაჩიაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 22-83-12, დაბა წყნეთი, სტალინის ქ. № 27 ა, დაბა წყნეთის გამგეობა.

სატენდერო კომისია

# ბანცხალა ტენდერის ჩატარების შესახებ

სააქციო საზოგადოება აცხადებს ღია ტენდერს 4 ლოტად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტ ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს.

ლოტი №1 "თბილწყალკანალი" ინტერნეტმომსახურება

ლოტი №2 სატელეფონო კაბელის საკანალიზაციო არხის რეაბილიტაცია ცენტრალურ ოფისსა და "თბილწყალკანალი" აეროდრომის სამთავრო-სადისპეტჩერო პუნქტს შორის

ლოტი №3 ოპტიკური კაბელის გაყვანა ცენტრალურ ოფისსა და აეროდრომის სამთავრო-სადისპეტჩერო პუნქტს შორის

ლოტი №4 ცენტრალური და გატანილი (აეროდრომისათვის) ციფრული სატელეფონო სადგურების მონტაჟი

1. სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

2. დაინტერესებულ იურიდიულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის საფუძველზე, სს "თბილწყალკანალი" სატენდერო კომისიიდან გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც დაწერილობით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებელი, ტექნიკური მანუალებლები და ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ, თუ პრეტენდენტი გადაიხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: სს

"ბანკი რესპუბლიკა", ბანკის კოდი 220101757, ანგარიშსწორების ანგარიში № 005467779, სს "თბილწყალკანალი" კოდი 208144541 და წარმოადგენს გადახდის ქვითარს.

3. დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დამატებული პაკეტებით ორ ვებ-მპლაზად შემდეგ მისამართზე: თბილისი 0136, ბ. ხმელნიციკის ქ. 181, სს "თბილწყალკანალი" სატენდერო კომისია. ტელ/ფაქსი (995 32) 70 55 99.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მანუალებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ. მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას იურიდიული პირებისათვის:

4.1. ნოტარიულად დამოწმებული ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან; 4.2. ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; 4.3. ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.4. ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

5. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის შერჩევას, თუ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილეთა რეგისტრაცია მოხდება 2006 წლის 23 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, 10 საათიდან 15 საათამდე.ტენდერი ჩატარდება 2006 წლის 1 ივნისის 15 საათზე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პირობიტეტებს: საქონლის ხარისხს, საქონლის მონოდების ვადებს, ანგარიშსწორების პრობებს და საქონლის ღირებულებას.

9. ტენდერში მონაწილემ სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის შესაბამისობა და წარმოშობის სერტიფიკატები.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონებზე: 70 55 99, 70 01 35.

# ბანცხალა ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი სანარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. №67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი" პალასისათვის" სანმედი და სარეცხი საშუალებების ერთ ლოტად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტ ყველა დაინტერესებულ პირს:

2. ლოტი: სანმედი და სარეცხი საშუალებები

1	საწმენდი და სარეცხი საშუალებები	ზედაირების საწმენდი ღრუბული	ცალი	2600
		ჭურჭლის საწმენდი შუნიე კეჟე	ქილა	576
		სადენიფიკაციო თხევადი ქლორი	ბოთლი	2430
		ჭურჭლისა და ზედაირის საწმენდი მეტალის ღრუბული	ცალი	1896
		გადაამუშავებული ცხიმის საწმენდი სიხე	კანისტრა	56
		ხის საწმენდი	აეროხიდი	54
		მეარი ზედაირის საწმენდი ჯეკრისები	ცალი	39
		ანტიბაქტერიული ხელის დასაშუშავებელი	ბოთლი 1 ლტრ	24
		პაერის გამწმენდი	ბოთლი 1 ლტრ	60
		აბაზანის ზედაირის საწმენდი ღრუბული	ცალი	150
		ურტაზის საწმენდი სიხე	ბოთლი 1 ლტრ	408
		პაერის გამაბადიებელი	აეროხიდი	140
		მრავალდანიშნულების და მისი საწმენდი უზადეხი ხარისხის თხევადი კონცენტრატი	კანისტრა	10
		შეავის შეწყველი ოთახის საწმენდი კონცენტრატი	კანისტრა	30
		თხევადი საპირი	კანისტრა 5 ლტრ	118
		ხაღისების საწმენდი შამპუნი	კანისტრა 10 ლტრ	23
		უნდერსალური თხევადი საპირი	სხვე კონტეინერი 1 ლტრ	288
		მეარი იატაკის საწმენდი კონცენტრატი	კანისტრა 10 ლტრ	24
		მეარი ზედაირის დამწველი ღვაკი	კანისტრა 10 ლტრ	2
		მეარი იატაკის საწმენდი	კანისტრა 10 ლტრ	12

	სილენისის ხარიადებული	ბოთლი 1 ლტრ	1
	სახამბული	პაკეტი	30
	პერქლოროფორმული	კანისტრა 320 კმ	1
	სასტუმროში არსებული სარეცხი დანადგარებისთვის განკუთვნილი სარეცხი ფხენილი: მათიორფლის გარეშე	ტომარა 20 კმ	178
	სასტუმროში არსებული სარეცხი დანადგარებისთვის განკუთვნილი მათიორფული ფხენილი ქლორის გარეშე	კონტეინერი 10 კმ	10
	სხვადასხვა გვარის დაქების ამოხეჩარი სიხე	ბოთლი 1 ლტრ	16
	ანტიბაქტერიული და დამაბრუნებელი სიხე	კანისტრა 10 ლტრ	68
	სასტუმროში არსებული სარეცხი დანადგარებისთვის განკუთვნილი ფრადი სარეცხი ფხენილი: მათიორფლის გარეშე	ტომარა 12.5 კმ	32
	ცხიმის ამოხეჩარი ნახევრად თხევადი მასა	კონტეინერი 12.5 კმ	3
	ცოცხი	ცალი	37
	ჭურჭლის სარეცხი კეჟე	ბოთლი	842
	აქანგაზი	ცალი	15
	რეხისის ნაწილი შუშის საწმენდისათვის	ქუთი	3
	იატაკის წერის საწერი	ცალი	2
	ჭურჭლის გაბარიადებული საშუალება	ქილა	2268
	ჭურჭლის სარეცხი სიხე	ბოთლი	144
	საკურთი აუზის წლის დამცავი ქიმიკატი	კანისტრა	60
	იატაკის წერი	ცალი	50
	ჭურჭლის სარეცხი დანადგარის შრომის დამაძრებელი ქიმიკატი	ცალი 2 კმ	18
	ჭურჭლის სარეცხი დანადგარის ჭურჭლის სარეცხი ქიმიკატი	ცალი 4.5 კმ	112
	სამწმენდის სადენიფიკაციო კონცენტრატი	კანისტრა 9.5 კმ	10
	სადენიფიკაციო ქლორის ტაბლეტები	ქუთი	6

3. მინოდების ადგილი: ქ. თბილისი, თელავის ქ. 20  
4. ვადები: 2006 წელი. ხელშეკრულების გაფორმებიდან წლის ბოლომდე.  
5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადები წარმოადგინონ 2006 წლის 10 ივნისის 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0103 ქ. თბილისი, თელავ-

ის ქ. 20, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი", ტელ: 77 20 20, საკონტაქტო პირი: ბატონი მანუჩარ გრიგოლაშვილი.

6. შესყიდვამ მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- იურიდიულმა პირებმა:
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
- რეგისტრაციის მონაწილეობა და ცნობა სანესდებო კაპიტალის შესახებ (ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მისი ქონება არ არის დაეპატონებული;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
- სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტები;
- ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მინოდების შესახებ.

- ფიზიკურმა პირებმა:
- ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროაქსის სახით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი სანარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკი, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101666, ა/ა 050609031.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 20 მაისიდან 9 ივნისის 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, 0103, თელავის 20, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი".

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბატონ მანუჩარ გრიგოლაშვილს. ტელეფონი 77 20 20, ფაქსი 77 45 16. ელფოსტა: Manuchar.grigolashvili@sheraton.com

შეინებნა: ქიმიური საშუალებების ზუსტი აღწერა და მახასიათებლები იხილეთ ტექნიკურ პირობებში.

სატენდერო კომისია

# ბანცხალბა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუ-მი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტო-რიაზე არსებული სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის, ქ. ბათუმის N1 სასპორტო სკოლის I და II ბაზების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესე-ბულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:**

**ლოტი N1 ქალაქ ქობულეთის N3, N5 და ქობულეთის რაიონის სოფელ აღ-ამბრის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N2 ქობულეთის რაიონის სოფლების კვირიკეს, ზობოყვათის, ციხი-სძირისა და ჩაქვის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N3 ქობულეთის რაიონის სოფლების მუხაესტატეს, გვარასა და ქო-ბულეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N4 ქობულეთის რაიონის სოფლების ცეცხლაურის, ოჩხაშურის, ლღვას, აჭყვისთავისა და ქაქუთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სა-მუშაოები;**
**ლოტი N5 ხელვაჩაურის რაიონის სოფლების შარაბიძეებისა და კახაბრის N1 საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N6 ხელვაჩაურის რაიონის დაბა ხელვაჩაურის N1 და ხელვაჩაურის რაიონის სოფლების ერგესა და აჭარისწყლის საჯარო სკოლების რეაბილი-ტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N7 ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის საჯარო სკოლის მშე-ნებლობისა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის რეაბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N8 ხელვაჩაურის რაიონის დაბა მახინჯაურისა და ხელვაჩაურის რაიონის სოფლების გონიოსა და ურეხის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები ;**
**ლოტი N9 ქედის რაიონის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N10 ქედის რაიონის სოფელ გოგიაშვილების საჯარო სკოლის რეა-ბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N11 ქედის რაიონის სოფელ ანჭვისს საჯარო სკოლის რეაბილიტა-ციის სამუშაოები;**
**ლოტი N12 ქედის რაიონის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის რეაბილიტა-ციის სამუშაოები;**
**ლოტი N13 ქედის რაიონის სოფელ აქუცას საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოები;**
**ლოტი N14 ქედის რაიონის სოფელ კოლოტაურის საჯარო სკოლის მშენე-ბლობის სამუშაოები;**
**ლოტი N15 ქედის რაიონის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის მშენებ-ლობის სამუშაოები;**
**ლოტი N16 ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევის საჯარო სკოლის მშე-ნებლობის სამუშაოები;**

**ლოტი N17 შუახევის რაიონის სოფელ ბრილის საჯარო სკოლის მშენებ-ლობის სამუშაოები;**
**ლოტი N18 შუახევის რაიონის სოფელ დაბაძველის საჯარო სკოლის მშე-ნებლობის სამუშაოები;**
**ლოტი N19 შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოს საჯარო სკოლის რეაბი-ლიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N20 შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლის რეა-ბილიტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N21 შუახევის რაიონის დაბა შუახევის საჯარო სკოლის რეაბილი-ტაციის სამუშაოები;**
**ლოტი N22 ხულოს რაიონის სოფელ ფუშრუკაულის საჯარო სკოლის მშე-ნებლობის სამუშაოები;**
**ლოტი N23 ხულოს რაიონის სოფელ ძმაგულის საჯარო სკოლის მშენებ-ლობის სამუშაოები;**
**ლოტი N24 ხულოს რაიონის სოფელ მთისუბნის საჯარო სკოლის მშენებ-ლობის სამუშაოები;**
**ლოტი N25 ხულოს რაიონის სოფელ თაგოს საჯარო სკოლის მშენებლობ-ის სამუშაოები;**
**ლოტი N26 ხულოს რაიონის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლის რეაბილიტა-ციის სამუშაოები;**
**ლოტი N27 ხულოს რაიონის დაბა ხულოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცი-ის სამუშაოები;**
**ლოტი N28 ქ. ბათუმის N1 სასპორტო სკოლის I და II ბაზების რეაბილიტა-ციის სამუშაოები;**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა წინსვლის საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 15 დეკემბრამდე პე-რიოდ, სხვა დანარჩენზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 25 სექ-ტემბრამდე**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენ-დერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 6 ივნისიდან 2006 წლის 9 ივნისის 17 საათამ-დე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6.** (აჭარის ა. რ. განათ-ლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფო-რმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირ-ის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაცის სა-ქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასა-ხადო ინსპექციიდან მსიი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).
გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანა-სკენლი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მო-მენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფო-რმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
**4.2. ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).
გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანა-სკენლი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მო-მენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფო-რმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

# ბანცხალბა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის საქალაქო მუერნობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამ-ხანავობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით საცხოვრებელი სახლებ-ის სახურავების (გ. ბრნიყინვალის ქ. N48 და გენ ა. აბაშიძის ქ. N1) რეაბილიტა-ციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი.**

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვა-ლიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგ-ზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 12 იე-ნისიდან 2006 წლის 13 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.** (ქ. ბათუმის საქალაქო მუერნობის ადგილობრივი სამსახური).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინ-ფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდი-ნარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

# ბანცხალბა ტენდერის ჩატარების შესახებ

(დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტი)

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამი-ნისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი (რეკვიზიტები: საზოგა-დოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N21ა, III სარ-თული საქართველოს ეროვნული ბანკი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტა-მენტი (კოდი 1977), ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, ბანკის კოდი 220101107, ბიუჯეტის შემოსავლის სახაზინო კოდი 300043133) "ჯანმრთელობ-ის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის" 2006 წლის სახელმწიფო "ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენ-ციის და სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის" და "ინფორმაციუ-ლი სისტემების უზრუნველყოფის, ეპიდზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვის" პროგრამების ფარგლებში, აცხადებს ტენდერს და იწვევს ყველა დაი-ნტერესებულ პირს სამი ერთული მეორადი მოხმარების ავტომანქნების შეს-ყიდვაზე.

**1. მიკროავტობუსი (სამგზავრო)**

ტექნიკური მახასიათებლები: გამოშვების წელი - 2000ფ.-2006წ-მდე;
სანავაის ტიპი - ტურბო, დიზელი;
ძრავის მოცულობა - 2500-3000სმ3;
სიჩქარის გადაცემათა კოლოფი - მექანიკა;
წამყვანი თვლები - უკანა;
კარები - 4/5;
სავარძლების რაოდენობა - 8-10 ცალი;
სავარძლების გათბობა.

**2. ჯიპი**

ტექნიკური მახასიათებლები: გამოშვების წელი - 1997ფ.-2006წ-მდე
სანავაის ტიპი - დიზელი;
ძრავის მოცულობა - 2000-3000სმ3;
სიჩქარის გადაცემათა კოლოფი - მექანიკა;
წამყვანი თვლები - 4x4;
კარები - 4/5.
**3. სედანი**
ტექნიკური მახასიათებლები: გამოშვების წელი - 2003წ.-2006წ-მდე;
სანავაის ტიპი - ბენზინი ან დიზელი;
ძრავის მოცულობა - 1800-2500სმ3;
სიჩქარის გადაცემათა კოლოფი - მექანიკა;
წამყვანი თვლები - წინა ან უკანა;
კარები - 4/5.

ავტომანქანების დამატებითი ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფი-ლებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უსაფრთხოების ბალიშები არანაკლებ ორისა; ABS; კონდიციონერი ან კლიმატკონტროლი; ცენტრალური საკეტი; სიგნალიზაცია; დისკები; საჭე - მარცხნივ.

2. **მისაწოდებელი საქონლის სასურველი ვადებია:** 2006 წლის 20 ივნისი-დან 2006 წლის 20 ივლისამდე.
**მიწოდების ადრეობა:** ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N21ა.
**მიწოდების ფორმა:** DDP საწვობი (საქონლის ღირებულებაში შედის ტრანს-პორტირება, დაზღვევა, საბაჟო მოსაკრებლები, თანმდევი მომსახურება სხვა).
**მიწოდების პირობები:** "შესყიდველის" მფლობელობაში გადაცემისათვის "მიმწოდებლის" მიერ აუცილებელი ხარჯების დაფარვის უზრუნველყოფა.

3. **საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების წარდგენის წესი (ცნა), ვადა და ადგილი:**

3.1 შესყიდვაში მონაწილე მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებ-მა, საკვალიფიკაციო მონაცემებთან (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა უნდა წარმოადგინონ კონკრეტული ქვეყნის შესაბამისი ორგანოებიდან ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით) ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარ-მოადგინოს სატენდერო წინადადება, შედგენილი ქართულ ენაზე, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის მიერ. საკვალი-ფიკაციო მონაცემების შერჩევის საფუძველზე განხორციელდება სატენდერო წინადადებების განხილვა.

3.2 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება 2006 წლის 8 ივნის-ის 15 სთ-მდე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში მისამართზე: თბი-ლისი, ქავთარაძის ქუჩა N21ა, III სართული.

3.3 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.3.1 ყველა იურიდიული და ფიზიკური პირების:

- მონაცემები (რეკვიზიტები) მონაწილის შესახებ;

- ცნობა, 1 მისიის მდგომარეობით, საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ორგანიზაციებთან დავალაინების არარსებობის შესახებ.

3.3.2 იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან ან შესაბამისი ორგანოებიდან, რომ არ ხორციელ-დება მისი რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტ-რების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადა-

ლა;
- ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის გა-ნმავლობაში არ იყენენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქ-მიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

3.3.3 ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ სასამართლოს მიერ მას მილიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურვე-ლი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალია-ნების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახ-ებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ) შესაბამისი დოკუმენტის დართვით;

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ზაზის შესახებ (აუდი-ტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დო-კუმენტაციის მიღება 2006 წლის 8 ივნისის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭა-რის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარი-ში N000142101, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი N245444844 დანიშნულვა სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შექძლებათ მისამა-რთზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადა-დება, ტენდერში ლოტების მიხედვით შესაღებელია რამდენიმე გამარჯვებულ-ის გამოვლენა.

7 ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გა-ფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველ-ყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შე-მდეგი პირისაგან - ინგა დავითაძე ტ. 7-16-50, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთავე-ლის ქ. N6, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..

**სატენდერო კომისია**

ბ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურვე-ლი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალია-ნების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესა-ხებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ზაზის შესახებ (აუდი-ტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დო-კუმენტაციის მიღება 2006 წლის 12 ივნისის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართ-ველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფლიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულვა სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შექძ-ლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადა-დება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შე-მდეგი პირისაგან - მანუჩარ მერგულიძელი ტ. 7-66-40, ელ. ფოსტ. e-mail:ten-der-batumi@mail.ru მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

- ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებ-ულ დანაშაულისათვის.

3.4 იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ყველა წარმოდგენილი დოკუ-მენტი (სატენდერო წინადადება) უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილ-ის ხელმოწერითა და ბეჭდით. ასლების (საკვალიფიკაციო მონაცემები) წარმოდ-გენის შემთხვევაში დოკუმენტები უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.

3.5 იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩე-ვას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს 3.3 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

4 დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

5 სატენდერო წინადადების გახსნა განხორციელდება ტენდერში მონაწი-ლეობის თანდასწრებით 2006 წლის 8 ივნისის 15 სთ-ზე.

6 სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა იმ იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე, რომლის მიერ გადახდილი იქნება 200 ლარის ოდ-ენობის სატენდერო მოსაკრებელი შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ეროვ-ნული ბანკი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი (კოდი 1977), ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, ბანკის კოდი 220101107, ბიუჯეტის შემოსავლის სახაზინო კოდი 300043133).

7 დასაშვებია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა.

8 შესაძლებელია გამარჯვებულის გამოვლენა ცალკეული საქონლის სახე-ობის მიხედვით. ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმდება ხელშე-კრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელშიც განცალკევებით განი-საზღვრება ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ვალდებულებები და ხელშეკრუ-ლების ცალკეული პირობები. ამასთანავე ავლენიწნავთ, რომ მიწოდებული საქონ-ლის ანაზღაურება განხორციელდება ფაქტურად მიწოდებული საქონლის შესა-ბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით. შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორე-ბის შექპინზმის გამოყენება, რომლის ძირითადი პირობები (პროცენტული ოდენ-ობა და სხვა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციაში.

9 დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძ-ლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N21ა, III სართული. ტელეფონი: 94-29-18, 30-02-72. ყოველ სამუშაო დღეს 1200 საათიდან 1600 საათამდე.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია**

# Weekend

© ბაჭათი 24 საათი

შაბათ-კვირა, №5  
20-21 მაისი, 2006



**ბუზინი, დღეს, ხვალ 8**

**ბუზღუნა**

26 მაისის  
სახელობის  
მოედანი



**5**

**ფოტოგრაფია**



ანრი კარტია-ბრასონი **8**

**დროთა კავშირი**

ჭაობის  
მკვლელობები **10**

**სტილი**



სარკა  
ინტარიკაზი **13**

**შვიდნახაღი**

WHISKY &  
WHISKEY  
თამაში ქარის  
ყანაში



**15**



**2**

# არც საქართველოს სახელს გავცვლი და არც ჩემს მწვრთნელს

მაია ჭალაბანიძე

ფიგურულ სრიალში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მწვრთნელის, ტატიანა ტარასოვას სიტყვები: "აღმოჩენილია მსოფლიო მნიშვნელობის ტალანტი" და ქართველებს იქვე დაუსვა შეკითხვა - "რისი გაკეთება გსურთ მისთვის?"

**- ელენე, ზამთარი გიყვარს თუ ზაფხული?**

- ზაფხული.

**- ევროპის ჩემპიონატზე ყინულზე გასვლის წინ შიშის გრძნობა დაგეუფლა?**

- არა, იმიტომ, რომ ჩემგან ბევრს არ ელოდნენ. ტრავმა მქონდა და მწვრთნელმა მითხრა, რაც იქნება, იქნება...

**- ამდენი ხალხი გიყურებდა, ამან შენზე არ იმოქმედა?**

- ამაზე არ ვფიქრობ. ვფიქრობ პროგრამის შესრულებაზე - შენთვის ყველაზე რთული ილეთი რომელია?

- იქ ავტომატია ჩართული და არც ამაზე ვფიქრობ.

ეს იყო პირველი გამოსვლა დიდებში. მანამდე ელენე იუნიორებში გამოდიოდა - მსოფლიოზე ორჯერ იყო, შარშან მეხუთე ადგილი დაიკავა. იუნიორების "გრანპრიზე" იყო ორჯერ, სადაც მესამე და მეორე პირველი ადგილები დაიმსახურა. მაგრამ, ახლა მისთვის ამ ასაკისთვის განკუთვნილ ტურნირებზე გასვლა საინტერესო აღარ არის.

უკვე ყველამ იცის, რატომ მიიყვანეს მშობლებმა თბილისის საციგურაო სკოლაში - ყინულის მერე თხილამურებზე დად-



გომა ადვილია. აქ მას "ნითელკანიანთა ბელადს" ეძახდნენ, ისეთი ცელქი იყო. ვარჯიშებზე ყველაფერს აკეთებდა ვარჯიშის გარდა - გადიოდა და გამოდიოდა, ყინულს ჭამდა...

**- თბილისიდან რატომ და როდის წახვედი?**

- 9 წლის რომ ვიყავი, ჩემს აქაურ მწვრთნელთან ერთად ერთი თვით მოსკოვში სავარჯიშოდ წახვედი.

**- როგორ მიგიღეს მოსკოვში?**

- ცუდად. ძალიან ზარმაცი ვიყავი, არაფერს არ ვაკეთებდი, მწვრთნელებს ვანვალებდი.

**- როდის მიხვდი, რომ აღარ არის ცელქობის დრო?**

- ალბათ, 11 წლიდან. მერე ცოტა ხნით ისევ თბილისში წამოვედი და ფედერაციის პრეზიდენტის, ირაკლი ჯაფარიძის რეკომენდაციით 1 წლით ისევ წახვედი მოსკოვში, მარინა სლისკაიასთან. მარინამ თქვა, რასაც აქ შენი მწვრთნელი გიკეთებს და როგორც გელოლიავენ, ამის იმედი არ გქონდესო. ჯგუფთან ერთად დადგები, ივარჯიშებ ხო კაი, არაა, როგორც გინდაო. თავიდან ჯგუფში ბოლო ვიდექი, ორი წლის მერე პირველი ვიყავი...

**- ახლა დღეში რამდენ ხანს ვარჯიშობ?**

- დილით მივდივარ 9 საათისთვის, ჯერ "რაზმინკა" მაქვს, 10-დან 12 საათამდე ყინულზე ვარ, მერე ქორეოგრაფთან ვმეცადინებო, მერე მივდივარ სახლში და ვისვენებ. 5 საათზე ისევ სავარჯიშოდ მივდივარ. სკოლის გაკვეთილებს კი დისკებით ვმეცადინებო.

**- რომელიმე საგანი განსაკუთრებით გიყვარს?**

- უცხო ენები.

ორი წლის შემდეგ ერთ-ერთ ვარჯიშზე წარსულში ცნობილმა მოციგურავემ, ელენა ვოდარეზოვამ ნახა და ელენეც მასთან გადავიდა სავარჯიშოდ. დიდი ტრაგედიები იყო - მარინა სლისკაია მოსკოვში საუკეთესო ბავშვს კარგავდა, მაგრამ ეს სევედანი კანონზომიერება დიდ სპორტს აქვს.

**- როგორია შენი მწვრთნელი?**



ელენა ვოდარეზოვი "24 საათის" გალში.

- ძალიან კარგი, დედასავით... აქ რთული იყო, ურო ძლიერი ბავშვები იყვნენ, ვოდარეზოვაც სულ სხვა დონის მწვრთნელია. იმდენად კარგი ქალია, რომ მასთან შეგუება არ გამჭირვებია.

**- შენს თანაგუნდელებთან მეტოქეობა არ გინევს?**

- ეს მომენტი ყოველთვის არის ხოლმე, მაგრამ ძალიან კარგად ვართ ერთმანეთთან.

**- ევროპის ჩემპიონატზე მეგობრები შეიძინე?**

- დიახ, მაგრამ ზოგი ცხვირანული დადის.

**- რუსებზე ამბობ?**

- არა, ეგეთები ყველგან არიან.

**- მათაც ხომ აჯობე?**

- კი...

**- ლიონი კარგად გაიცანი?**

- დავათვალიერე და ძალიან მომეწონა, საჩუქრებიც ვიყიდე.

**- რამდენი წყვილი ციგური გაქვს?**

- ერთი. შევიცარული ფირმის ციგურებია...

**- იმით ვარჯიშობ კიდევ და შეჯიბრებზე გამოდიხარ?**

- დიახ.

**- როგორ ირჩევ ციგურებს?**

- ჩვეულებრივად. ეს ინდივიდუალურია, იცმევ და ხვდები, რომ კარგია. თქვენც ხომ ასე ირჩევთ ფეხსაცმელს - ჩაიცვამთ და ხვდებით, რომ ამით სიარული შეგიძლიათ.

**- მაღალი ადგილისთვის არ იბრძობი, მაგრამ მაინც მიიღე, რა გითხრეს მწვრთნელმა?**

- სლისკაია ავად იყო და ევროპის ჩემპიონატზე ვერ წამოყვავა. ნაკრების კონსულტანტმა, ტატიანა ტარასოვამ კი შემაქო. ისე, მანამდე ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ყინულზე რომ გავედი, აღარ.

**- საყვარელი პროგრამა გაქვს?**

- არ აქვს მნიშვნელობა. უფრო ელემენტების თანმიმდევრობაზე ვფიქრობ ხოლმე და ვცდილობ ახალ პროგრამებში ის შეცდომები გამოვასწორო, რაც ევროპაზე დავუშვი. ჯერ დრო მაქვს.

**- შემდეგი ტურნირი რა არის?**

- ოქტომბერში "გრანპრის" ეტაპებია დიდებში. მერე მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში.

**- ყველაზე კარგად რომელი ილეთი გამოგდის?**

- არ ვიცი...

**- ევროპაზე და ოლიმპიადაზე ფაქტობრივად, ერთი და იმავე პროგრამით გამოხვედი.**

- ერთ სეზონზე ერთი და იმავე პროგრამით უნდა გამოხვიდე. ახლა ახალ პროგრამას მიმზადებენ. წინა პროგრამა უფრო იუნიორების სტანდარტით იყო შედგენილი.

**- პროგრამის შერჩევაში მონაწილეობას იღებ?**

- ჩემს აზრს ითვალისწინებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, გადაწყვეტი მწვრთნელის აზრია.

**- შენი მწვრთნელისგან წყნა გახსოვს?**

- რა თქმა უნდა, გულში

მწყინს როცა ვარჯიშებზე მეჩხუბება. როცა ილეთი არ გამოდის, ვისვენებ და მერე ხელახლა ვაკეთებ, რადგან სხვანაირად ნახტომს გავაფუჭებ და ეს არ შეიძლება.

**- ესპანური "გრენადა" აირჩიე, რატომ?**

- მწვრთნელმა ამირჩია, იცის რა მომიხდება. ახლა მეორე პროგრამა "ფლამინგო" და "ციგანოჩკა" იქნება.

**- წყვილში ცეკვა არ გინდა?**

- არ ვიცი, ის სულ სხვა სახეობაა.

**- გადანყვეტილებებს ისევე მართო იღებ, როგორც მართო სრიალებ?**

- დიახ.

**- როდესაც შენი და დედას აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინ ჯობნის?**

- ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა.

**- პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბადრი პატარკაციშვილს და გოკა გაბაშვილს დავალებები მისცა, ელენეს მიხედვით, არაფერი გაუჭირდესო. მას შემდეგ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში? ასრულებენ პრეზიდენტის დავალებას ეს ძიები?**

- არაფერი შეცვლილა, მაგრამ შეჯიბრებამდე კიდევ დროა და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. ვოდარეზოვამ უკვე გამოავაზვნა სია, რა და რამდენი არის საჭირო ვარჯიშის, ცხოვრებისა და ჯანმრთლობისთვის. სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარემ ნამგალაურმა ძალიან კარგად მიგვიღო და ახლა ველით პასუხს ჩვენს წერილზე. მალე სოჭში შეკრებაზე უნდა წავიდე.

**- ახლა რისთვის ხარ ჩამოსული?**

- დასასვენებლად, ვიზების გასაკეთებლად. მე რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი მიკეთებს და ადვილია ვიზების აღება. დედას ჩემს გამო არ უჭიანურებენ, მამას - ჩემი ძმის გამო...

**- აქაური მეგობრები მოინახულე? ვინ არიან ისინი?**

- ნინო, ელენე, ანა, ეკა, მარიკა...

**- როცა ხვდებით შენს წარმატებებზე ბევრს საუბრობთ?**

- არა. ყველაფერზე ვლაპარაკობ.

**- მოსკოვში პირადი ცხოვრებისთვის დრო გრჩება?**

- კი, როგორ არა.

**- დედა ხშირად ბრაზობს ხოლმე შენზე?**

- განსაკუთრებით არა... ხანდახან ჩხუბობს, არ ჭამო.

**- მოსკოვში მცხოვრებ ცნობილ ქართველებს იცნობ?**

- არა. ქართულ ეკლესიაში ყოველ კვირა დღეს დავდივარ.

**- შენს შესახებ პრესას კითხულობ?**

- ისე რა...



ლიმითრი

● მაგრამ, ქართულმა მედიამ ელენეს მაინც დაწყვიტა გული. მაშინ, როცა უსაყვედურეს, რატომ იცეკვე სომხურ მუსიკაზეო... მუსიკას არჩევს მწვრთნელი და მან რა იცის, რა წყინთ ქართველებს და რა არა. მეორე, რამაც საშინლად იმოქმედა ელენეზე, ერთ-ერთ ქართულ გაზეთში დაბეჭდილი ფოტომონტაჟი იყო - ჩინელი წყვილის ტანს ელენესა და სააკაშვილის ფოტოები დააკრეს. ელენეს დედას ესმის, რომ შეიძლება, პრეზიდენტს მტრები ჰყავს, მაგრამ აინტერესებს - რა დააშავა ელენემ...

- ასეთი შედეგებისთვის არც ერთ ქართველ მოციგურავეს არ მიუღწევია, რით დაგაჯილდოვა შენმა ქვეყანამ?

- ძასობოვმა 1000 ევრო მაჩუქა. გარდა ამისა, ოლიმპიურმა კომიტეტმა, როგორც ოლიმპიადის მონაწილეს, დღიური 500 დოლარი მომცა. ახლა "ლუკოილმა" 500 დოლარით დამასაჩუქრა. სპორტის დეპარტამენტმა ივლისიდან 500 ლარი ხელფასი დამინიშნა, ოლიმპიური კომიტეტი კი 390 ლარს მაძლევს.

- ხო არ ფიქრობ, რომ იმაზე ნაკლები ადგილი გერგო, რაც დაიმსახურე?

- მგონია, რომ ევროპაზე მეტი მეკუთვნოდა. მაგრამ თუ ცნობილი არ ხარ, ასე არ ხდება - იქნებ შემთხვევით შეასრულე კარგად?! მართალია, ვარჯიშებს ესწრებიან, მაგრამ მაინც...

13 წლის არის. 9 წლის იყო, ოჯახი რომ მოსკოვში ჩავიდა. საკუთარი თხილამურები ჰქონდა და ორ წელიწადში სამთო სათხილამურო სპორტში მოსკოვის ნაკრების წევრი გახდა. ეს ნიშნავს უფასო ეკიპირებას, სრიალს, შეკრებებს...

თავიდან დიტოც ცინულზე სრიალებდა და მწვრთნელები მასაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

- შენ და დიტო ჩხუბობთ სპორტის რომელი სახეობა ჯობია?

- არა. სახლში ტელევიზორის პულტის გამო ვჩხუბობთ შაბათ-კვირას, რადგან კვირის სხვა დღეებში ორივეს დამაბული გრაფიკი გვაქვს. წესები ასეთია - ერთ ოთახში ვცხოვრობთ და პულტის ოთახიდან გატანა არ შეი-

ძლება. ვინც გავა, ის პულტს კარგავს.

- ზაფხულში სად დაისვენებ?

- ურეკში. ტრავმირებული ფეხისთვის ურეკის ქვიშები 2 კვირით მაინც, აუცილებელია. ერთი ახლობელი გვყავს, ნინო, რომლის დამზადებული მაღამოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, ყველა ტრავმაზე ის მშველის და ნინოს მადლობა მინდა ვუთხრა ამისთვის.

● სახეზე კი ყველა ცნობს. მოსკოვში უცნობებმა ისიც უთხრეს, შენი გულშემატკივრები ვიყავით და არა რუსი ფიგურისტებისო. "ცესკას" ცინულზე მისი წარმატების გამო უამრავმა პერსპექტიულმა ბავშვმა დაინყო სრიალი. როგორც მე გავიგე, ზამთრის ოლიმპიადის მერე თბილისის ცინულზეც აღარ არის ადგილები. გუდაურის სათხილამურო ტრასებზე კი მრავალრიცხოვანი ბავშვების თხოვნით ელენე თხილამურებით აკეთებდა "მერცხალს..."

- აქ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, თუ რომელი ქვეყნის სახელით გამოხვალ...

- მე საქართველოს სახელით გამოვალ.



- საკითხი რომ ასე დაგიყენონ - ან რუსეთის მოალაქეობას მიიღებ, ან აქ აღარ ივარჯიშებო?

- არ ვიცი რას გავაკეთებ, მაგრამ, მთლად მასე არ არის საქმე - თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ძალიან მიყვარს აქაურობა. მე როგორც საქართველოს სახელს არ გავცვლი არაფერში, ისე არ გავცვლი ჩემს მწვრთნელს.





სერგეი შამბას თბილისში ვიზიტისას ერთი ანექლოტი გამახსენდა, რომელიც 12-14 წლის წინ თბილისში საქმიანი მისიით ჩამოსულმა საკმაოდ ხანდაზმულმა ტიპურმა ამერიკელმა ქალბატონმა დამტვრეული რუსულით მომიყვა. "აფხაზმა ოქროს თევზი დაიჭირა და აფხაზეთის რუსეთთან მიერთება სთხოვა.

თევზმაც შეუსრულა. სახლში დაბრუნებულ აფხაზს თავისი დიდი, თეთრი, აივნიბიანი, ხვიარით დაბურული სახლის ნაცვლად პატარა რუსული იზნა დახვდა. სახლის წინ პალმებიანი, გორტენზიებიანი, ლიმონებიანი ბაღის მაგივრად ღარიბი ბოსტანი იყო. შევიდა აფხაზი იზნა-ში და ხედავს დიდ რუსულ ლუმ-

ელს, ლუმელზე მწოლიარე ცოლს, ცოლზე კი ქართველს".

მაპატიეთ ვულგარულობისათვის. საერთოდ, ანექლოტების დიდი მოყვარული და მით უმეტეს მომყოლი არ ვარ, მაგრამ არ ვიცი რატომ გამახსენდა და მაინც მოგიყევით, ეგება გაგეცინოთ.

## მილოცვა + რჩევები

სულ რამდენიმე დღის წინ ჩემ მიერ შექმნილი მაისის თვის ქართული "Cosmopolitan" აი ასე უსამველოდ დაიფურცლა.

პრიალა ქალაქიან მოდის ან ქალებისთვის განკუთვნილი ჟურნალებთან შეხება, ნამდვილად მქონია. იყო დრო, როდესაც საზღვარგარეთ მოგზაურობისას ერთს მაინც ვყიდულობდი და თბილისში ჩამომქონდა. განსაკუთრებულად მრავალფეროვანი, საინტერესო, თვეობითაც შემინახავს, უინტერესო გადამიგდია. ზოგიერთი კი რომელიმე თაროზე მიმეწყებია, მაგრამ ასე არასდროს არც ერთი არ დაშლილა.

მოდის ჟურნალების საზღვარგარეთიდან ჩამოტანის აუცილებლობა დღეს, საბედნიეროდ, აღარ არის. თბილისში მეტ-ნაკლებად ყველაფრის ყიდვა გახდა შესაძლებელი. ქართული "Cosmopolitan"-ის გამოსვლა ყველა ქალისათვის სასიამოვნო სიახლე იყო. რაც უფრო მეტი იქნება ამ ტიპის ჟურნალები, მით უკეთესი. მათი მეშვეობით ქართველი ქალები ბევრ სწორ, საჭირო რჩევებს მიიღებენ, თავს კიდევ უფრო კარგად მოუვლიან, უფრო მოდურად ჩაიცვამენ და ამით უფრო ელეგანტურები, ლამაზები გახდებიან. მაგრამ პომპეზური პრეზენტაციების მონყოფის, მოდური ლამის კლუბების არენდის, ქართული



ესტრადის "ვარსკვლავების" მონვევისა და "ელიტარული" საზოგადოების შეკრების პარალელურად თავად ჟურნალის ხარისხზეც თუ იზრუნებენ, ცოტა მეტად დაიხარჯებიან, ნამდვილად უკეთესი იქნება. მაისის ქართულ "Cosmopolitan"-ში მხოლოდ კოკო შანელზე ერთი წერილის "მოდური ლეგენდა" და რედაქტორის წინასიტყვაობის ნაკითხვა მოვასწარი, რომ ათობით სრიალა, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი ფურცლების დასტა შემჩნა ხელში. დამეთანხმებით, რომ ასეთ დისკომფორტში, ფურცელ - ფურცელ "Cosmopolitan"-ის კი არა, ცოტა უფრო საინტერესოს ნაკითხვაც დასაზარია. ათობით სრიალა ფურცლის მთელ სახლში მიმოხევა, მე მგონი, არც ისე სასიამოვნოა. არადა, ამ ახალი ჟურნალის გამოსვლა ისე მიხაროდა, ნაკითხვას, საინტერესო რჩევების მიღებასა და "Cosmopolitan"-ურად თავის მოვლას ვლამობდი. ახლა კი, ეს ფურცლები, უბრალოდ, უნდა გადავაგდო.

P.S. რჩევებზე გამახსენდა. აკინძვის ხარისხის სასწრაფო გაუმჯობესების გარდა ქართული "Cosmopolitan"-ის რედაქციას კიდევ ერთ მოკრძალებულ რჩევას მივცემდი - სიტყვა "დაქალი", ეცადეთ, აღარ გამოიყენოთ.

დღევანდელი ქართული პოლიტიკის მრავალსახოვან სპექტრში ორი ამკარა "ფიგარო" (ფიგარო აქ, ფიგარო იქ...) გამოიკვეთა. ოპოზიციის მხრიდან ეს კობა დავითაშვილია, რომლის "პრინციპულობის" გარეშე არც ერთი მოვლენა არ მიმდინარეობს. ხელისუფალთა პირადი

ციხოვრების უკადრისი, ბინძური გარჩევადან დაწყებული, საღარო აპარატების პოპულისტური თემით დამთავრებული, ყველგან ეს ოპოზიციური "ფიგარო" გვევლინება. ნეტავი დრო როგორ ყოფნის? ნეტავი ამდენ პრობლემას თავში როგორ იტევს? ნეტავი ხალხზე ასეთ

"გულწრფელ" ზრუნვას გული როგორ უძლებს? სახელისუფლებო "ფიგარო" კი, რა თქმა უნდა, ელენე თევდორაძეა, რომლის "ბრძნული" და დავითაშვილზე არანაკლებად პრინციპული კომენტარების გარეშე არაფერი რჩება. უბრალოდ,

გასაკვირია, ნუთუ უმრავლესობამ ელენე თევდორაძე თავის face-ად სერიოზულად აირჩია და მასზე უფრო მეტად დამაჯერებელი არაფერი ჰყავთ? საინტერესოა, უმრავლესობის "სინდისის" მძიმე ამპლუა თევდორაძე ნებაყოფლობით იტვირთა, თუ იგი მას კო-

ლეგებმა ან მედიამ იძულებით დააკისრა? ვიცი, ამ კითხვებზე პასუხს ვერასდროს მივიღებ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს ორი პოლიტიკური "ფიგარო" თვალდახეულშუა გაუფასურდა და ნელ-ნელა საკმაოდ გროტესკულ პერსონაჟებად იქცა.



22-23 აპრილის ფოტო.

ეს 22-23 აპრილის "24 საათის" ნომერში დაბეჭდილი წერილის "ყველაფერი ყვითელი ჯიხურის ბრალია" ფოტოილუსტრაციაა. ეს კი ორიოდე დღის წინ იმავე ადგილზე, ირ. აბაშიძის ქუჩაზე გადაღებული ფოტო. საზარელი ყვითელი ჯიხური აიღეს! ბომბების მყუდროება კი მოშალეს! ტერიტორიას ანტისანიტარიისგან გაწმენდოთ, მოვანესრიგებოთ, გავამწვანებოთ დაგვიპირდნენ! მე მგონი, ჩემი და ვაკის ამ ნაწილის მაცხოვრებლების მხრიდან თბილისის მერიისადმი მადლობა სრულიად ბუნებრივი, დამსახურებული იქნება. ნეტავი მადლობის თქმის საშუალება მაქსიმალურად ხშირად მოგვცენ.



19 მაისის ფოტო.

არა, ამ პოლიციის მაინც არაფერი მესმის. ამკარად პროვოცირებას უკეთებენ. თავადაც შესანიშნავად იციან, რომ პროვოკაციას უწყობენ და კლასიკური "ფრარეებით" ამ პროვოკაციაში მაინც ებმებიან, მაინც "ვარდე-

ბიან" და თავს იმასხარავენ. ამ კვირაში პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში მისული "თანასწორობის ინსტიტუტის" (თუ სახელწოდება არ შემეღებ) წარმომადგენლების მიერ პოლიციის შენობაში დამცინავი ლექსის "საყვა-

რელი პოლიცია" ნაკითხვის მცდელობით დაგვირგვინებული აქცია არაფერი იყო, ელემენტარული პროვოკაციის გარდა. პოლიციელებს კი იმის უნარი არ ეყოთ, რომ ლექსი მოესმინათ ბოლომდე. როგორც ყოველთვის,

"ავარდნენ", იუხემეს, იჯიკავეს და ამით კი მხოლოდ პროვოკატორების ნისქვილზე დაასხეს წყალი. ნუთუ, ასეთი ძნელია ცოტა მოითმინო, ჭკუა იხმარო, ნებისყოფა მოიკრიბო, ნერვები გაა-

კონტროლო, თუნდაც ძალიან ცუდი ლექსი ბოლომდე მოისმინო, უფასო პოეზიის საღამოსათვის მადლობაც გადაუხადო? ნაკითხვას და ნავა, აბა რას იზამს? მაშინ ვისი კოვზი აღმოჩნდება ნაცარში?



# 26 მაისის სახელობის მოედანი



### ალექსანდრა ზარიძე

ამ მოედნის "ლირსმესანიშნაობა" ისაა, რომ მთელი მოედანი დახაზულია ყვითლად. ამ ფერით ქუჩების მონიშვნა სტანდარტის დარღვევაა. ვენის კონვენციით მიღებულ სტანდარტში მითითებულია თეთრი ფერი, გარდა საზოგადო ტრანსპორტის გაჩერებებისა, რომელიც ყვითლად იხაზება. თუ ჩვენ გადავხედოთ ამერიკის სტანდარტებზე, მაშინ დავხაზოთ ყვითლად, თუ ვართ ევროპაში - თეთრად. ერთი სიტყვით, ქალაქი უნდა იხაზებოდეს ან თეთრად, ან ყვითლად და არა ისე, როგორც ამჟამად არის დახაზული - მოსკოვის პროსპექტი - თეთრად, 26 მაისის მოედანი ყვითლად. ასეთი ფერების ცვალებადობა რაიონების მიხედვით უბრალოდ, სასაცილოდ ხდის თვით მონიშვნის პროცესს და მის დანიშნულებას რომ არაფერი ვთქვათ სტანდარტის დარღვევაზე.

შუქნიშნის ობიექტზე (ფოტო N1) "გამსახურდია - სტატისტიკის დეპარტამენტი" ბუზლუნა გაჩერდა და თავისთვის ნაიბურტყუნა: "აქაც ღმერთს არ უქნია". საქმე ეხება ერთსა და იმავე შეცდომას, როცა ქვეითი მოსარულის მწვანე შუქი ემთხვევა მანქანის მოძრაობის მწვანე შუქს - ანუ ადამიანი ვერ გადადის გადასასვლელზე. ეს შეცდომა, გრიპის ეპიდემიასავით არის და ყველგან ვრცელდება. ბუზლუნას გააჩნია ასეთი "ინფექციის" სანიანადმდეგო ნაშალი - ეს არის ახალი სქემების შექმნა, სადაც ეს ორი ანტიგონისტი - მანქანა და ქვეითად მოსიარულე ერთმანეთს არ შეეჯახებიან; ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მარტივი გამოსავალი არსებობს - წრეხაზით მონიშნულ შუქნიშნის უნდა დაემატოს ერთი დამატებითი სექცია, რომლის მიხედვითაც მწვანე შუქი აინთება მხოლოდ გამსახურდიაზე მოძრაობის დროს და ჩაქრება მაშინ, როცა ქვეითად მოსიარულე გამსახურდიაზე გადადის. ამით ამოინურება კონფლიქტი. ამ შემთხვევაში ბუზლუნა ვეთავაზობს მარტივ გამოსავალს და მომავალშიც დაეხმარება ყველას, ვისაც ანუხებს კონფლიქტის აღმოფხვრა შუქნიშნის ობიექტზე.

იქვე, გამსახურდიას პროსპექტზე, სტატისტიკის დეპარტამენტის მხრიდან დახაზულია მეორე "სდექ-ხაზი" (ფოტო N2), რომლის დანიშნულება გაურკვეველია. საქმე ის არის, რომ შუქნიშნის ობიექტზე მეორე "სდექ-ხაზი" იხაზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა



ამ "სდექ" ხაზთან გროვდება მანქანის ნაკადი, რათა შეცვალონ მოძრაობის მიმართულება. ამ ობიექტზე სხვა მიმართულება არ არსებობს, იმიტომ რომ მარცხნივ მოხვევა იქ აკრძალულია. აქედან გამომდინარე, მეორე "სდექ-ხაზი" შეცდომაა და მოსახსნელია ორი ზედმეტი შუქნიშანი, რომელიც ამ "სდექ-ხაზს" ემსახურება. მით უმეტეს, რომ ერთი შუქნიშანი ნახევრად ჩაფლულია ფოთლებში. გამსახურდიას გამზირზე, სტატისტიკის დეპარტამენტის

ნავიბუზლუნებ, რომ აღნიშნულ გზაჯვარედინზე დახაზულია თითო-თითო მიმართულების ისარი, რაც ყოველად დაუშვებელია, იმიტომ, რომ ირდევს სტანდარტი, სადაც წერია, რომ თუ მანქანის სიჩქარე არაღებატება 60 კმ/საათს, მაშინ ყოველ გამყოფ ზოლში იხაზება მინიმუმ, ორი მიმართულების ისარი" და მეორეც - შუქნიშანთან მიახლოებისას მძღოლს უნდა მივცეთ საშუალება წინასწარ გადავიდეს იმ ზოლში, რომელიც მას ჭირდება.



შენობასთან თვალში საცემი კიდევ ერთი ლაფსუსი, რომელიც შეცდომების რაოდენობას ზრდის. აქ დამონტაჟებულია ნიშანი "გაჩერება აკრძალულია" (ფოტო N3) და იქვე დამონტაჟებულია მეორე ნიშანი "დგომა", წარწერით: "სტატ. დეპარტამენტის ა/მ-თვის". საქმე ის არის, რომ ეს ორი ნიშანი - სანიანადმდეგო დანიშნულებისაა და მათი ერთ მონაკვეთზე დაყენება ლაფსუსია. თუ დამპროექტებელს და დამყენებელს ერთხელ მაინც ნაუკითხავს მოძრაობის წესები აუცილებლად დაზოგავდა ერთ-ერთ ნიშანს და დააყენებდა ძლიერ ამკრძალავ ნიშანს "გაჩერება აკრძალულია" ქვეშ წარწერით: "სტატ. დეპარტამენტის ა/მ-ს გარდა". და ბოლოს იმაზე

### ფოტო N4 შუქნიშნის ობიექტი: წარეთალი-გვეტაქა



ამ ობიექტზე ქვეითად მოსიარულე ისევე, როგორც სხვაგან, წერეთელზე ვერ გადადის იმის მიუხედავად, რომ მას შუქნიშნის

მიერ გარანტირებული აქვს უსაფრთხო გადასვლა. პირველ შემთხვევაში ადამიანი ვერ გადადის იმიტომ, რომ ნითელი შუქი აფრთხილებს: "ნუ გადახვალ - ავარიამი მოჰყვები", მეორე შემთხვევაში კი მისთვის განკუთვნილი მწვანე შუქი აფრთხილებს: "გადადი - მაგრამ, შეიძლება მოჰყვე ავარიამი". (ფოტო N5). ამას ადასტურებს სამარშრუტო ტაქსი, რომელიც ყველა წესების დარღვევით ართმევს გზას ადამიანს, და უხვევს მარცხნივ გვეტაქაზე. ღმერთმა დაიფაროს იქ მსხვერპლი იყოს, მაგრამ აქ ჩნდება მეორე პრობლემა - ვინ დაუდგინა ტაქსს ეს მარშრუტი, და ვინ უთხრა: "ნითელი შუქი მოუხვევ გვეტაქაზე".

### ფოტო N6 მარჯვენა სანაპირო - ბარათაშვილი ხიდი - ქორტაბთან



ეს ფოტო გადაღებულია იმ დროს, როცა მანქანა კვეთს უსაფრთხოების ზონას და აშკარად არღვევს მოძრაობის წესებს. უსაფრთხოების ზონა იხაზება იქ და მაშინ, როცა ხდება რომელიმე მიმართულებით ტრანსპორტის ნაკადის ლოკალიზაცია, ანუ მარტივად

ში, მანქანებს ძალიან გაუჭირდებათ დარღვევის გარეშე გაიარონ ეს გზაჯვარედინი "მშრალი ხიდის" მიმართულებით. საქმე ის არის, რომ უსაფრთხოების ზონა დახაზულია ზომების უხეში დარღვევით, და მხაზველებმა შექმნეს პრეცედენტი, რომელიც უბიძგებს მძღოლს: "დაარღვიე!". სამწუხაროდ, ამ გზაჯვარედინზე ეს არ არის ერთადერთი შეცდომა - ფოტოზე კარგად ჩანს, რომ იქ, სადაც შუქნიშანი მანქანებს აჩერებს, არ არის დახაზული "სდექ"-ხაზი. თუ იმ მხაზველებს არ ნაუკითხავთ მოძრაობის წესები, ჩვენ ავუსხსნი, რადიდი მნიშვნელობა ენიჭება "სდექ" ხაზს. ეს ხაზი, გარდა იმისა, რომ აჩვენებს სად უნდა გაჩერდეს მანქანა, აფრთხილებს მძღოლს, არ გადაკვეთო ეს ხაზი, იმიტომ რომ მოსალოდნელია ავარია. აქ პრობლემა ძალიან მკვეთრად ჩანს - წარმოიდგინეთ, რახან არ არსებობს "სდექ" ხაზი, მანქანა 1-2 მეტ-

რით წინ გაჩერდა. ამ დროს მარჯვენა მხრიდან, მწვანე შუქზე ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით დაიძრა მანქანების ნაკადი. მანქანა, რომელიც 1-2 მეტრით წინ გაჩერდა, გახდებდა სერიოზული დარაკლება მარჯვნიდან დაძრული მანქანების ნაკადისთვის. ღმერთმა არ ქნას, რომ ეს ხაფანგი ოდესმე ამოქმედდეს, მაგრამ დღეს ეს ხაფანგი დაგებულია და გთხოვთ, ფრთხილად იყავით. ამ მოსალოდნელ კონფლიქტთან დაკავშირებით ისმის კითხვა: "თუ მოხდა ავარია, ვისი ბრალია?".

კიდევ ერთი და ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. მან, ვინც აცხადებს ტენდერს მოძრაობის ორგანიზაციის სამუშაოებზე, პირველ რიგში ან უნდა ჩაიხედოს ტენდერში მონაწილის შრომის ნივთაქმი, ან ჩაუტაროს ტესტირება, ან რაღაცნაირად გამოავლინოს რა გამოცდილება გააჩნია ამ სპეციფიური სამუშაოების ჩატარებისა. ტენდერის პირობები არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ვადებსა და რაოდენობას - ვინ უფრო მეტს და იაფად შეასრულებს - ამ დარგში პროფესიონალიზმი გადამწყვეტია. ჩვენი მკითხველი ან საჭყისთან ზის ან ქვეითად მოსიარულეა, ამიტომ, გთხოვთ მომანოდოთ ასეთი ლაფსუსები, რათა ერთად და დროულად მოვანესრიგოთ ეს დიდი პრობლემა, რომელსაც ჰქვია ადამიანის უსაფრთხოება გზაზე.

ჩვენი პუბლიკაციის მერე "სასწრაფოებთან" მდებარე შუქნიშნის ობიექტზე ნახაზები გაასწორეს. ბუზლუნას ასეთი თანამშრომლობა მოსწონს.




# ანრი კარტიე-ბრესონი: მეოცე საუკუნის თვალში

2004 წლის 3 აგვისტოს საფრანგეთის სამხრეთის სოფელ სერესტში, 95 წლის ასაკში, თანამედროვე ფოტოგრაფიის დიდი მეტრი ანრი კარტიე-ბრესონი გარდაიცვალა. ფრანგულ პრესაში ცნობა ანრი-კარტიე ბრესონის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ 4 აგვისტოს, დასაფლავების დღეს გავრცელდა. იგი პროვანსის პატარა სოფლის მონესტენის სასაფლაოზე დაკრძალეს ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. სამგლოვიარო ცერემონია, ფოტოგრაფის მეუღლის, ასევე ფოტოგრაფის მარტინ ფრანკის და მათი ქალიშვილის მელანის გარდა, მხოლოდ უახლოესი მეგობრები, თხუთმეტი ადამიანი დაესწრო; რომელთა შორისაც კარტიე-ბრესონის მიერ მის სულიერ შვილად აღიარებული ჩეხი ფოტოგრაფი ყოზეფ კუდელკაც იყო.

## გადამწყვეტი წამის ძიებაში

ანრი კარტიე-ბრესონი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოგრაფი და შემოქმედი იყო. იგი უკანასკნელი ცოცხალი სიურეალისტიც გახლდათ. მას იცნობდნენ როგორც ანარქისტს და ბურჟუას, თავმდაბალს და იმავდროულად თავმომწონესაც, დენდის და მოკრძალებულ პიროვნებას; ბუდიზმის მიმდევარს და უბრალოდ უდიპლომო ერუდიტს, რომელიც სამჯერ ჩაიჭრა ბაკალავრის გამოცდების ჩაბარებისას და რომლის ერუდიციაც სამაგალითოდ იყო მიჩნეული არა მხოლოდ ფრანგულ, არამედ საერთაშორისო არტისტულ-ინტელექტუალურ წრეებში. იგი ფოტოებზე და წიგნებზე ხელს ძალიან უბრალოდ (შავი მელნით) სამი ასოთი აწერდა: **HCB** (Henri Cartier-Bresson). სწორედ ამიტომ ფრანგები მას, ფოტოგრაფიის ცოცხალ ლეგენდად მოხსენიების ნაცვლად უბრალოდ "აჰ-ეს-ბე"-ს (**HCB**) უწოდებდნენ. დღეს უკვე იმის თქმაც შეიძლება, რომ თანამედროვე ფოტოგრაფიაში აბრევიატურა დიდი და ცნობილი ბრენდის ტოლფასი გახდა.

მას უყვარდა ყოფნა იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. მან შექმნა სტილი, რომელიც არა მხოლოდ პროფესიონალი, არამედ მოყვარული ფოტოგრაფებისთვისაც კი მიბაძვის საგანი გახდა. მას ფრანგული ფოტოგრაფიის მამაც უწოდეს, რაც მან დაუყოვნებლივ უარყო და კატეგორიულად მოითხოვა მისი მისამართით ამგვარი ფორმულირება არასდროს გამოეყენებინათ. და მიუხედავად ამისა, ანრი კარტიე-ბრესონის გავლენა თანამედროვე ფოტოგრაფიის განვითარებაზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ მის გარეშე თანამედროვე ფოტოგრაფია არ იარსებებდა იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს არსებობს; რადგან სწორედ მისმა ფოტოგრაფიულმა კონცეფციამ განსაზღვრა მეოცე საუკუნის ფოტოგრაფიის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ეს კონცეფცია კი მნიშვნელოვანწილად წინააღმდეგობებით აღსავსე მისი რთული პიროვნების ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის ჩამოყალიბებაც სამყაროს მისეული ხედვის ექსტრავაგანტულობამ, პუმანურობამ და რეალობის მკაცრად განსაზღვრულ პლასტიკურ ფორმაში ორგანიზაციის სურვილმაც განსაზღვრეს. "გადამწყვეტი წამის" ძიებისა და დაფიქსირების პრინციპი, რომელიც კარტიე-ბრესონის ფოტოების საფუძვლად იქცა, მოგვიანებით ერთგვარ ეთიკად ჩამოყალიბდა, ისევე, როგორც ფოტოგრაფია იქცა მისთვის ცხოვრების წესად, სამყაროს შეცნობის და ხედვის საშუალებად. "მე არასდროს ვმოგზაურობდი, მე ვცხოვრობდი ქვეყნებში", ხშირად



იმეორებდა **HCB**. "სწორედ ამან განსაზღვრა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ესთეტიკური კანონი: ფორმა სიუჟეტის და სიციცხლის გარეშე არაფერის მთქმელია". და კიდევ: "მკაცრი გეომეტრიის გარეშე ფორმა არ იქმნება".

მკითხვემა ახალგაზრდა **HCB**-ს უწინასწარმეტყველა, რომ იგი არასდროს მოიწყენდა ცხოვრებაში. მეოცე საუკუნემ, რომელმაც, პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, მის თვალწინ ჩაირა, მას ლუი არაგონთან, ანდრე ბრეტონთან, სალვადორ დალისთან, უილიამ ფოლკნერთან, სამუელ ბეკეტთან, ტრუმენ კაპოტესთან, ჯონ კენედისთან, მერლინ მონროსთან და რაჯივ გა-

ნდისთან შეხვედრების და მეგობრობის შესაძლებლობაც მისცა. განდის მკვლევლობამდე 4წ წუთით ადრე გადაღებული უკანასკნელი ფოტო სწორედ კარტიე-ბრესონს ეკუთვნის. "ფოტოგრაფია ბრწყინვალე დამთხვევათა გაგრძელებაა... მე ყოველთვის მზად ვარ ამ დამთხვევების დასანახად და დასაფიქსირებლად. აი ეს არის ფოტოგრაფია," - ხშირად იმეორებდა **HCB**.

## სიურეალისტიკური წლები

ფოტოგრაფიით დაინტერესებამდე, ანრი კარტიე-ბრესონი ბავშვობიდან მხატვრობით არის გატაცებული. 7 წლის ასაკში მას პირველად დართავენ ბიძის, ცნობილი მხატვრის სახელოსნოში შესვლის ნებას. როგორც თავად ამბობდა: "ამ დღეს მე მეორედ დავიბადე". მხატვრობის შესწავლას სერიოზულად **HCB** 1927-1928 წლებშიც გააგრძელებს ანდრე ლოტის სახელოსნოში და სიციცხლის უკანასკნელ დღემდე მთლიანად მიუძღვნის საკუთარ თავს და ენერჯიას მხატვრობას მას შემდეგ, რაც 1974 წელს უარს განაცხადებს ფოტოგრაფიაში აქტიურ მუშაობაზე: "მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი. ალბათ ბევრად ადრეც უნდა დამენებებინა ფოტოგრაფიისთვის თავი".

მეოცე საუკუნის ოცინი წლებში, შეძლებული მრეწველის შვილი ანრი კარტიე-ბრესონი უარს ამბობს ოჯახური ტრადიციების და მამის საქმის გაგრძელებაზე და პარიზის არტისტულ წრეებს, კერძოდ კი სიურეალისტებს უახლოვდება. ფოტოგრაფი რობერტ კაპა მას მეგობრულ რჩევას აძლევს: "სჯობს გერქვას ფოტორეპორტიორი და მხოლოდ გულის სიღრმეში დარჩე სიურეალისტი, რომ მანერიზმი აირიდო თავიდან". კარტიე-ბრესონი იღებს ამ რჩევას.

ბრეტონთან, დალისთან, კრეველთან და მაქს ერნსტთან მეგობრობის დასაწყისი სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა. კარტიე-ბრესონი სიურეალისტების თავყრილობებს ერთგულად ესწრება. ყოველთვის მაგიდის კუთხეში მოკალათებული, თავმდაბალი და ელევანტური ახალგაზრდა ყურადღებით ისმენს და ნაკლებად მონაწილეობს დისკუსიებში. ღამეებს კი დაულაღვად თავის მეგობარ პოეტ ანდრე პეიერ დე მანდიარგთან ერთად კაბარებსა და საროსკიპოებში ატარებს. "იმ ღამეების განმავლობაში ჩვენ მძაფრ ემოციებს ვეძებდით. ჩვენ რეალობის ფანტასტიკად ტრანსფორმირება გვსურდა," - იხსენებდა ანდრე დე მანდიარგი. იგივე შეგრძნებების სურვილით და არტურ რემბოს მაგალითით შთაგონებული კარტიე-ბრესონი, 22 წლის ასაკში აფრიკაში მიემგზავრება ჰი-





პოპოტამებზე სანადიროდ. თუმცა მძიმედ დაავადებული იძულებულია, საფრანგეთში დაბრუნდეს. "ამ მოგზაურობამ დამარწმუნა, - წერდა HCB, - რომ სამყაროს ჭრილობების აღსაბეჭდად მე ფუნჯზე უფრო სწრაფი იარაღი მჭირდებოდა."

1932 წელს HCB მარსელში ლეიკას მარკის აპარატს ყიდულობს, რომლის გარეშეც, მისივე განცხადებით, იგი არასდროს გახდებოდა ფოტოგრაფი. "ლეიკა ჩემი თვალის ლოგიკურ გაგრძელებად იქცა," - ამბობდა ფოტოგრაფი. 1931-1932 წლები ევროპაში, ამერიკაში და მექსიკაში მოგზაურობის წლებია. სწორედ ამ წლებში იქმნება მეორე მსოფლიო ომამდელი პერიოდის შედეგების დიდი ნაწილი. HCB იცნობენ, როგორც სიურეალისტ ფოტოგრაფს. 1933 წელს ცნობილი ნიუ იორკელი გალერისტი ჟულიან ლევი HCB-ს, სწორედ როგორც სიურეალისტს, ფენს თავის გალერეაში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე HCB გერმანიის ტყვეობაში ხვდება. ორი უშედეგო მცდელობის შემდეგ, 1943 წელს მაინც ახერხებს ტყვეობიდან თავის დაღწევას. "როგორც მახსოვს, ხელში ჯოისის "ულისე" მქონდა და ისე

გაერბოდი," - იხსენებდა კარტიე-ბრესონი. 1946 წელს ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (MOMA) HCB-ს ფოტოების გამოფენისთვის ემზადება, რომელიც, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, მის ხსოვნას უნდა მიეძღვნას. გამოფენის ორგანიზატორებს იგი ომში დაღუპული შვილია. თუმცა მალევე ირკვევა, რომ ფოტოგრაფი ცოცხალია. კარტიე-ბრესონი თავად ჩადის ნიუ იორკში და გამოფენის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობს.

1947 წელს კი იმავე მუზეუმში, შამპა-ნიურის ირგვლივ ერთ საღამოს შეკრებილი მეგობრები - რობერტ კაპა, დევიდ (შიმ) სეიმური, ჯორჯ როჯერი და HCB ფოტოსააგენტო "მაგნუმი"-ს შექმნის გადაწყვეტილებას იღებენ. მომდევნო სამ წელიწადს კარტიე-ბრესონი ინდოეთში, ჩინეთში და ინდონეზიაში ატარებს. 1954 წელს მიემგზავრება საბჭოთა კავშირში, სადაც კიდევ ერთხელ, 1972 წელს დაბრუნდება. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება საქართველოში გადაღებული ფოტოების სერია, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი ალავერდობის დღესასწაულზე გადაღებული ფოტოებია.

### ფოტოგრაფიიდან მხატვრობამდე

1952 წელს გამოცემული HCB-ს ფოტოების პირველი წიგნის, "ნაჩქარევად გადაღებული სურათები", გარეკანს მატისი აფორმებს. 1954 წელს კი, როგორც უკვე მეორე წიგნი "ევროპელები" ხუან მიროს მიერ გაფორმებული გარეკანით გამოდის.

1966 წელს სააგენტოს მუშაობის კომერციალიზაციის ტენდენციით უკმაყოფილო HCB ტოვებს "მაგნუმს", თუმცა სააგენტო ინარჩუნებს მისი არქივის ექსპლუატაციის უფლებას. 60-იანი წლების ბოლოდან კი იგი ნელ-ნელა უარს ამბობს თავის განუყოფელ ლეიკაზე და სულ უფრო დიდი მონდობით, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, მხატვრობაში იწყებს მუშაობას.

2003 წლის მაისში საფრანგეთმა HCB-ს დაბადების 95 წლისთავი აღნიშნა. 300 ფოტოსგან დაკომპლექტებულმა ექსპოზიციამ ფრანსუა მიტერლანის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სრული ტრიუმფით ჩაიარა: 82 000 მნახველი სამი თვის მანძილზე. იმავე თვეში, პარიზის მეთოთხმეტე არონდისმანში ანრი კარტიე-ბრესონის სახელობის ფონდიც გაიხსნა, რომელიც, რეგულარული გა-

მოფენების მოწყობის გარდა, ახალგაზრდა ფოტოგრაფების ფინანსურ მხარდაჭერასაც ისახავს მიზნად. ფოტოგრაფიის 95 წლის მეტრი ჩვეული თავმდაბლობით შეხვდა მის ირგვლივ შექმნილ საერთო აუიოტაჟს - არც ერთი ინტერვიუ პრესისთვის, არც ერთი ინტერვიუ ტელევიზიისთვის.

დღეს კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ HCB-ს სახელის ირგვლივ შექმნილი აუიოტაჟი, რომელიც ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არ განელებულა, მისი გარდაცვალების შემდეგ ნამდვილად აღარ განელდება.

\*\*\*

ანრი კარტიე-ბრესონის გარდაცვალების მეორე დღეს, ფოტოსააგენტო "მაგნუმი"-ს სამმა წევრმა რიჩარდ ავედონმა, მარკ რიბუმ და ჟილ პერესმა მის ხსოვნას გამოფენა მიუძღვნეს, რომელსაც პარიზის საფრანგეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა.

გამოფენის გახსნის წინ რიჩარდ ავედონმა განაცხადა: "კარტიე ბრესონი ფოტოგრაფიის ლევი ტოლსტოი იყო." მარკ რიბუმ კი უბრალოდ დასძინა: "დარწმუნებული ვარ, იგი პირით აღმოსავლეთისკენ და, როგორც ბრძენებს სჩვევიათ ხოლმე, სიმშვიდით გარდაიცვალა."

# ანრი კარტიე-ბრესონი ბადამწყვეტი ნაში

ნასტან ნიჰარაჰის  
თარგმანი ფრანგულიდან

"რეპორტაჟი გონების, თვალის და გულის პროგრესული ოპერაციაა. მისი დანიშნულება კონკრეტული მოვლენის, მასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებების და პრობლემების დაფიქსირებაა. ნებისმიერი მოვლენა იმდენად მდიდარია თავისთავად, რომ მას დიდხანს ვუტრიალებთ გარშემო. მისი განვითარება თავად გვკარნახობს იმ ხერხს, რომელის მეშვეობითაც ჩვენ ეს მოვლენა უნდა დავაფიქსიროთ. ამ ხერხის პოვნა ხანდახან რამდენიმე წამშია შესაძლებელი, ხანდახან კი საჭიროა საათები და დღეებიც კი. რეცეპტები არ არსებობს. საჭიროა მუდამ მზად ყოფნა..."

გამოსახვის ყველა საშუალებათაგან ფოტოგრაფია ერთადერთია, რომელიც ერთ კონკრეტულ, განსაზღვრულ წამს აფიქსირებს. ჩვენ ვმანიპულირებთ იმით, რაც წარმავალია. ის რაც ქრება, ქრება სამუდამოდ. ვერც ერთ წამს ველარ დავაბრუნებთ. რეპორტაჟზე მუშაობის დროს დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არა-

ტექსტი, სახელწოდებით "გადამწყვეტი წამი", რომელშიც კარტიე-ბრესონი ფოტოგრაფიის საკუთარ კონცეფციაზე საუბრობს, 1952 წელს გამოქვეყნდა. გამოცემის პირველივე დღიდან იგი ფოტოგრაფების არაერთი თაობის სახელმძღვანელოდ იქცა და დღემდე ასეთად რჩება. ამ ცნობილი ტექსტის რამდენიმე ნაწყვეტის ქართული თარგმანი პირველად ქვეყნდება.

ფერი დავგრძნა დაუფიქსირებელი, რადგან მერე გვიან იქნება. მოვლენის განვითარების დაბრუნება შეუძლებელი იქნება.

თუმცა თავიდან უნდა ავირიდოთ მექანიკურად ფოტოგრაფირება, რომ არ გადავტვირთოთ მესიერება და არ დავბინდოთ მოვლენის საერთო ხედვა. მესიერების შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასში ფიქსირდება ყველა ის ფოტო, რომელიც მოვლენის განვითარების მანძილზე იხადება.

როგორ შეიძლება სიუჟეტის უარყოფა? იგი არსებობს. არსებობს ყველაფერში, რაც სამყაროში ხდება. სიუჟეტებით არის აღსავსე ჩვენი მინაგანი სამყაროც. ამიტომ, საკმარისი იქნებოდა გულწრფელი დამოკიდებულება იმისადმი, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, ისევე, როგ-

ორც ჩვენი გრძნობებისა და ემოციების გულწრფელობა, რომ სწორედ განისაზღვროს ჩვენი მიმართება იმისადმი, რასაც ვხედავთ და აღვიქვამთ...

სიუჟეტი არ ნიშნავს ფაქტების თავმოყრას. რადგან ფაქტი თავისთავად არ არის საინტერესო. იგი მნიშვნელოვანი მაშინ ხდება, როდესაც რეალობის სიმბოლოს დატვირთვის იძენს.

ფოტოგრაფიაში სრულიად პატარა რამ შეიძლება იქცეს დიდ სიუჟეტად, პატარა ადამიანური დეტალი ლაიტმოტივად... ხშირად თვით მოვლენის განვითარება ბადებს და შემდეგ უკვე ჩვენ გვკარნახობს მისი გამოსახვისთვის საჭირო ფორმის ორგანული რიტმის.

ფოტოგრაფია ჩემთვის რეალობაში არსე-

ბული ზედაპირების და ხაზების რიტმის აღმოჩენის საშუალებაა. იქ, სადაც სიუჟეტის შინაარსების ფორმასთან მიმართება განისაზღვრება, კომპოზიციის საკითხი დგება. კომპოზიცია ვიზუალური ელემენტების გარკვეულ კოორდინირებას ნიშნავს. ფოტოგრაფიაში ახალი პლასტიკა და მომენტალური ხაზების ფუნქცია არსებობს. ჩვენ ვმუშაობთ მუდმივ მოძრაობაში. სწორედ ამიტომ ფოტოგრაფიამ მოძრაობაშივე უნდა აღმოაჩინოს გამომსახველობითი წონასწორობა. კომპოზიცია ჩვენი გამუდმებული ფიქრის საგანი უნდა იყოს. თუმცა გადაღების მომენტში იგი მხოლოდ ინტუიტიურია, რადგან საქმე ეხება წარმავალი მომენტებს დაფიქსირებას. ხშირად ესაუბრობთ გადაღების რაკურსზე. ერთადერთი მისაღები რაკურსი არის ის, რომელიც კომპოზიციის მკაცრ გეომეტრიას განსაზღვრავს.

დაბოლოს: ფოტოგრაფია, ჩემთვის, წამის გარკვეულ ნაწილში მოვლენის მნიშვნელობისა და მისი გამომსახველი ვიზუალური ფორმების თანხვედრაა."



თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.

რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.

რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედის მიერ ხელშეწყობილი ტრავიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.

რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.

იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.

P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.

# გუშინ, დღეს, ხვალ

- თბილისი - ევროპისა და აზიის კულტურათა გზის შესაყარი... თბილისი - გუშინ, დღეს, ხვალ...

- დღეს მრავალი შენობა იგება. თბილისის ზოგი უხდება, ზოგი - არა, მაგრამ, ჩემი აზრით, მსჯელობისას ამოსავალი უნდა იყოს, როგორი ქალაქია თბილისი, როგორ გვესმის მისი ისტორია. ამისდა მიხედვით განისაზღვრება მისი ესტეტიკური და შინაარსობრივი მხარე.

თბილისის, ისევე, როგორც მთელი საქართველოს მომხიბვლელობა, განუმეორებლობა ის არის, რომ აქ ორგანულადაა შერწყმული აღმოსავლეთი და დასავლეთი. ეს აქტუალურია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, რადგან მართალია ხელოვნური, მაგრამ დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მაინც არსებობს. ჯერ კიდევ კიბლინგს უთქვამს, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი არის დასავლეთი, და ისინი ვერასდროს ვერ გაერთიანდებიანო. მაგრამ პროგრესმა, რევოლუციებმა - ტექნიკურმა და სულიერმა, რელიგიამო მომხდარმა ცვლილებებმა მოიტანა სურვილი და ნინაპირობა, რომ არ იყოს დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ახლა ეს საკითხი გამძაფრებულია, საქმე ლამის ომამდე მივიდეს, თითქოს შეუძლებელი იყოს მშვიდობიანი თანაცხოვრება და თანაარსებობა. საქართველო და თბილისი სწორედ ამგვარი თანაარსებობის მაგალითია. მთელი ჩვენი ისტორია ამის დასტურია. აღმოსავლეთი და დასავლეთი შერწყმულია ჩვენს პოეზიაშიც, ფერწერაშიც, ყოფაშიც, წეს-ჩვეულებებშიც, ტრადიციებშიც. თბილისი სწორედ ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება აღსრულდეს ეს ერთიანობა. საერთოდ, გაერთიანების სურვილი მუდამ არის, რადგან ფართოდება და ვითარდება ზენაციონალური სფეროები - მეცნიერება, კომუნიკაციები, კაპიტალი...

- რა თქმა უნდა, რელიგია, ქრისტიანობა ზენაციონალურია. უნდა გვახსოვდეს პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლაელთა მიმართ, სადაც ნათქვამია, რომ შეიძლება ახალი, რომელიც განახლებდა შემეცნებით, თანახმად მისი ხატისა, ვინც შექმნა იგი, სადაც არ არის ბერძენი და იუდეველი, წინადაცვეთილობა და წინადაუცვეთელობა, ბარბაროსი, სკვითი, მონა, თავისუფალი, არამედ ყველაფერი და ყველაფერში ქრისტე. და კიდევ ერთი, არ არსებობს ქართული ქრისტიანობა. არსე-



ზურაბ ნიჟარაძე

მხატვარი

ბობს ქრისტიანობა საქართველოში. ...ისევე ქალაქს მოვუბრუნდით.

- დიას. ამდენად, შეერთების სურვილი არსებობს. ეს ნიშნავს, რომ ორმა მხარემ ერთმანეთი კი არ უნდა შთანთქმას, არამედ უნდა გაამდიდროს, როგორც იყო საქართველოში. აქ განხორციელდა ის, რაც ბევრს შეუძლებლად მიიჩნია. როდესაც ვლადიმერ რაიკობი ახალ მშენებლობებზე, მე მგონი, მთავარია ეს სიახლე არ იყოს უცხო და არ უშლიდეს ხელს იმ ფუნქციას და დანიშნულებას, რომელიც ბუნებრივად აქვს ჩვენს ქალაქს ისტორიულად და გეოგრაფიულად. პირიქით, სიახლე ხაზს უნდა უსვამდეს ამ შინაარსს. იყო პროექტები, სადაც მომეჩვენა, რომ პლასტიკა გამოვიდა სწორზაზოვანი. ეს ახალი ქალაქი თითქმის არ განსხვავდებოდა ამერიკული ქალაქისაგან. არ შეიძლება, აილო ჩვენი რელიეფი და გაასწორო, მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკაში ასეა. ტყუილია, რომ თანამედროვე არქიტექტურა ამას თხოულობს. პირიქით, ეს განსხვავებული დონეები, ეს ტერასული განლაგება კარგად უნდა გამოიყენო. ეს ქალაქში არის და არქიტექტურას ამდიდრებს. მტკვრის ხეობის მოცულობები და რიტმები პლასტიკურ მონახაზს ქმნის, ცოცხალია.

- ამერიკასთან მსგავსებისა რა მოგახსენოთ. ჩემი აღქმით, ეს ახა-

ინც მგონია, რომ ფორმა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა. მთავარი ჩემთვის ის საგანია, რისი გამოხატვაც უნდა ადამიანს. ასევე მთავარია - როგორ, და არა რომელი ფორმით. ვაჟა-ფშაველას ფორმალისტური ძიებები არ დაუწყია, ხალხური თავისი სამყარო ამ მოტივით გამოხატა. მაიაკოვსკიმ ფორმალისტურ ძიებებს მიმართა, ოღონდ ეს მისთვის ორგანული იყო, ბუნებრივად, რადგან ახალი ფორმების ძიებაში საგანი არ დაკარგა. ასევე, საღვთობა დალის ეპატაჟი - სუპერთანამედროვე ხელოვანის ხატის შესაქმნელად, ჩემი თვალთახედვით, მასზე გათვლილი ჩვეულებრივი აფორა უფროა, ვიდრე ხელოვნება. მეტადრე, როცა ვან გოგი არსებობს ქვეყანაზე.

- ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ერთი რამ - დარგის განუმეორებლობა. სათქმელი უნდა ითქვას იმ სპეციფიკით, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატავს ცხოვრების ამ თუ იმ მხარეს. ვთქვათ, ქანდაკება ფსიქოლოგიურ ძვლებში, მინაარსსა და სიღრმეებში ჩანვდომის გაცილებით ნაკლები შესაძლებლობები აქვს, დოსტოევსკის ვერ შეცვლის ფილსი. რასაც მწერალი ამბობს, იმას თუნდაც გენიალური მოქანდაკე ვერ გააკეთებს, ვერ შეასრულებს. ისევე, როგორც ვერც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები ვერ შეცვლის ვენერა მილოსელს. სათქმელი განაპირობებს დარგს. მაგრამ სიმძლევე ისაა, რომ დარგი ვითარდება, გამომსახველი საშუალებები მეორდება, და ამიტომ ბევრ ნიჭიერ ხელოვანს მეზობელი დარგიდან მოაქვს რაღაც და მექანიკურად სვამს თავის დარგში. ეს მართალია, სიახლეა, მაგრამ დარგს არაფერს არ ჰმარტობს. ჰმატობს მხოლოდ ავტორს - სახელს გაუთქვამს იმით, რომ რაღაც შემოიტანა სხვა სფეროდან. ასე ჩამოყალიბდა ეკლექტიკა. ეს უკვე სტილია. აქვს მახასიათებლებიც, თავისი ესთეტიკაც, ნიმუშებიც. მაგრამ იყო დრო, როცა ეკლექტიკურია სირცხვილი იყო. ახლა ეკლექტიკური ნამუშევარი ხელოვნების სრულფასოვან ნიმუშად ითვლება. მაგრამ ამის

მიუხედავად, პოსტ-მოდერნიზმი მაინც ეძებს სპეციფიკურ ესთეტიკას. დახვეწისა და კრისტალიზაციისაკენ ისწრაფვის. თანამედროვე ხელოვნებაშიც არის ეს პროცესი - თვითმოყვადობის განმტკიცებისაკენ სწრაფვა. ამ მეცადინეობაში ბევრი დაბნეულია. ახალგაზრდებს განსაკუთრებით უნდათ ახლის მთქმელი, თანამედროვეობა, მსოფლიო, რომელიც არ არის მხრივ ისწრაფვის მარადიულობისაკენ, ანუ ზედროულობისაკენ, და, ამავე დროს, არის მოთხოვნა, რომ ის იყოს თანამედროვე, დამოკიდებული დროზე. ეს რაღაც წინააღმდეგობრივად მეჩვენება. მე მგონი, დიდი ხელოვანისთვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ თავისი დრო აესახა. ნიკე, მაგალითად, ზედროული მშვენიერებაა, სწორედ ესაა მისი ღირსება. ამაშიც საჭიროა გარკვევა, ჩამოყალიბება, მსჯელობა - რა დამოკიდებულება გვაქვს ამა თუ იმ მოვლენისადმი. თავისთავად განწყობა, რომ აუცილებლად ყველაფერი თანამედროვე იყოს, ხომ არ არის მომტანი რამე კრიზისული ვითარებისა. დიდი ოსტატები თავისი დროით ცხოვრობენ. ვთქვათ, სეზანი მე მიმართა უდიდეს ოსტატად. მას არასდროს არ ჰქონია სურვილი, დაქვემდებარებოდა დროს. ამბობდა, მე ვინააფვი კლასიკისადმი და არავითარ ორიგინალობაზე თავს არ დებდა. უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ ძალიან თანამედროვეა, რადგან ფერწერის მასალიდან და ბუნებიდან იღებდა სანყისს, იმ იდეიდან კი არა, რომ აუცილებლად თანამედროვე გამოჩენილიყო. შემოვიდა ახალი მასალები, ახალი ფერები, ფერადობის ახალი თვისებები და ამის ბუდეკატორისათვის მოუხდა ადვილი ახალი ხერხისა და წესის შამოტანა, რათა სიახლისთვის ფეხი აენყო, ახალ შეხედულებებს, ახალ მასალას აჰყოლოდა. დელაკრუამ რომ აღმოაჩინა კონტრასტებზე დაყრდნობილი დამატებითი ფერი, ეს მეცნიერულად მტკიცდება: ფერს აქვს თავისი დამატებითი თვისება. თუ ძალიან დიდხანს უყურე ნითელს, ხდება ნერვის გადატვირთვა და ფერი თხოულობს თავის კონტრასტში გადაზრდას. ნითლის კონტრასტია მწვანე. ამის შემთხვევაში მარტივად შეიძლება. აიღეთ სამკუთხედი, შეღებეთ ნითლად. ძალიან დიდხანს თუ უყურებთ და მერე მზერას თეთრ, სუფთა ქალაღზე გადაიტანთ, დაინახავთ იმავე ფორმის მწვანე სამკუთხედს. ყვითელი იისფერში გადავა და ასე შემდეგ. ნიჭიერი კაცი, ეს გინდაც არ იცოდეს, ინტუიტივად მიხვდება. ასევეა მუსიკაში - დისონანსი თხოულობს განწყვეტას კონსონანსში. არსებობს

# ბუზინ, დღას, სვალ

ასეთი ობიექტური კანონზომიერებები, რასაც ნიჭიერი ადამიანი ალ-ლოთი ხვდება.

- არსებობს ინტელექტუალური გამოცდილება, მაგრამ არის კიდევ ის, რასაც უფრო ენები შენი ყოფილი, ვიზუალურად, შენი ცხოვრებით. რატომღაც მგონია, რომ ახლა უცოდინრობას ერქმევა თანამედროვეობა.

- გეთანხმებით. თუმცა ვინ იცის... ეგ, რასაკვირველია, დანაკლისა. მაგრამ, მეორე მხრივ, ცოდნა რომ არა გაქვს, იქნებ ინტუიცია უფრო ვითარდება, მახვილდება, მიგნებები უფრო ინტუიტიურია. და ეს შეიძლება, უფრო ღრმა იყოს, ვიდრე ცოდნა. ამდენად... არ უნდა და ნუ უნდათ ეს ცოდნა. ინტუიციაზე ლაპარაკისას რას ვგულისხმობ: ჩიტი რომ მიფრინავს, სწორი მიმართულებით მიდის. იმან ხომ არ იცის, საით არის სამხრეთი და საით - ჩრდილოეთი, მაგრამ გზა არ ეშლება. ინტუიციას სწორი მიგნებები მოაქვს, უფრო სწორი, ვიდრე ცოდნას.

- ინტუიცია, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არტისტული ინტუიცია და ზოგადად, ინტუიცია, ვფიქრობ, ტალანტის თვისება და ასევე ტალანტის თვისებაა ცნობისწადილი, გნებავთ, ცოდნისწადილი. ასე რომ, ინტუიცია კარნახობს ადამიანს ცოდნისაკენ სწრაფვას და ცოდნა და ინტუიცია ერთმანეთს ინვევენ, ერთმეორეს ეძახიან ერთმანეთისკენ, როცა არსებობს ერთნაირი ამიტომაც, არა მგონია, სრული უცოდინრობის გარემოში კოჭლმა ინტუიციამ ღირებული ნაყოფი გამოიღოს.

- მაგაში სწორი ხართ. უბრალოდ, ტერმინები უნდა დავაზუსტოთ, რადგან მე... როგორ გითხრათ, გრძნობას ვანიჭებ უპირატესობას. სიყვარულმა მეტი იცის, ვიდრე ცოდნამ. ასე მგონია, რომ ცოდნამ შეიძლება შეცდომამდე შეგვიყვანოს, მაგრამ სიყვარული შეუცდომელია, არ მოგატყუებს... თუ ნამდვილი სიყვარულია, ჩიხში არასოდეს შეგიყვანს. ახლა შეიძლება ვინმემ მითხრას, აი, მე ძალიან მიყვარს მხატვრობა, მაგრამ ვერ ვხატავ. რა ვქნა? შეიძლება ადამიანს აუხსნა პრინციპები, ვთქვით, მთელისა და ნაწილის დამოკიდებულება... სხვათა შორის, ესეც ძალიან საინტერესო თემაა, რადგან სწორედ აქ ხდება აღრევა... არ შეიძლება, რომ ნაწილი იყოს მთელზე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო გამოუმსახველი. ასე ნამუშევარი არ გამოვა. ჩვენს აკადემიაში არ ასწავლიან ამ უბრალო წესს, რომელსაც, ანტიკურობიდან

მოყოლებული, იცავს ყველა, ვისაც რამე ღირებული შეუქმნია. პეტერბურგის აკადემიაშიც იგივე იყო, მიუნხენის აკადემიაშიც. ეუბნებოდნენ, როგორც ხედავ, ისე დახატეო. მაგრამ მზე ხსენებული წესის მიხედვით არ ავლენს საგანს. ვთქვით, პორტრეტის ხატვისას სახე ისე შეიძლება იყოს განათებული, რომ ყურადღება გადადიოდეს ნესტოზე, მთლიანად სახე კი ჩრდილში დარჩეს. თუკი ხატავ ისე, როგორც ჩანს, გამოდის საძაგელი, ფოტოგრაფიული ნახატი, ეგრეთ წოდებული რეალიზმი, როგორც ჩვენ გვასწავლიდნენ. მხატვარმა ისე კი არ უნდა გადმოიხატოს, როგორც ჩანს, არამედ გვაჩვენოს, რა არის მნიშვნელოვანი, გამოავლინოს მთავარი და მეორეხარისხოვანი. აი, სულ ეს არის სხვაობა სწორ და არასწორ ხატვას შორის. რეპინისა და სხვათა მასწავლებელი, ჩისტიაკოვი, ახალგაზრდობისას ამბობდა, თავს ნუ იმტვრევთ, ხატეთ ის, რასაც ხედავთ. მოწაფეებიც ხატავდნენ, რასაც ხედავდნენ და გამოდიოდა ფოტოგრაფიული, უსახური, არამხატვრული ნახატები. მერე, სიბერეში, ცოტა გონს მოეგო. ერთმა გოგომ მიუთხანა მისგან ნასწავლი პრინციპით დახატული ნახატი და დაუწუნა - ცალ-ცალკეა დახატული, ასე ხატვა არ შეიძლებაო. როცა უყურებ, ხედავ მთელ სახეს და არა ნესტოს ან თვალს. ამიტომ, ყველაზე მძლავრად მასალის შესაძლებლობა სახეზე უნდა იგრძნობოდე. შეიძლება ასე არ ჩანდეს, მაგრამ მასალის მატერიალურ მთელზე უნდა დახარჯო. ამას თუ აუხსნი ადამიანს, მერე სწორ ნახატებს გააკეთებს.

- თქვენ ახლა ბრძანებთ, წერას სანამ დაიწყებ, ანბანი უნდა ისწავლო. ცოდნაზე რომ ვლაპარაკობდი, ამას ვგულისხმობდი.

- მაგრამ ეგ ანბანი პროფესორებმაც არ იცოდნენ. თუნდაც ჩისტიაკოვმა. გადმოხატვას ასწავლიდნენ, მაგრამ გადმოხატვა მხატვრობა არ არის. მხატვრობა არის ჩამოყალიბება იმ მთლიანობისა, სადაც მთელი იქნება ძლიერი, მეორეხარისხოვანს თავისი ადგილი ექნება, მესამეხარისხოვანს - თავისი.

- თქვენ როგორ ხედავთ - როგორ ენერება ეს ყველაფერი ჩვენს დღევანდელ ყოფაში - სულიერება, სახელოვნებო სამყარო... განზოგადებულად რომ ვთქვათ - კულტურა, ვგულისხმობთ იმ სულიერ საზღვრებს, რასაც ადამიანები ღებულობენ არტისტული სამყაროსგან, არა მარტო ნაწარმი, შემოქმედისაგან, არამედ თანამედროვისაგან.

- მანდ ბევრი რამ შეიძლება ითქ-



ვას. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა ფასეულობა დევს ცხოვრებაში, ან იმ გარემოცვაში, რომელშიც ცხოვრობს. მშვენიერება, გარკვეულწილად, არის გამართლება სიცოცხლისა. თუ დამკვიდრდა აზრი, რომ ეს სამყარო აუტანელია, ცხოვრება საზიზღარია და ყველაფერი უმწო და აბსურდულია ჩვენს გარემო, მაშინ ალბათ სიცოცხლე აღარ ღირს. ნიჰილიზმი არაფერი მოუტანია კაცობრიობისათვის, ცინიზმი გარდა. ცინიზმი, მომხმარებლური დამოკიდებულება, არასწორად გაგებული პრაგმატიზმი, სადაც ამოსავალია - რა არის ჩემთვის სასარგებლო. თუმცა ისიც საკითხავია, ვინ იცის, რა არის მართლა სასარგებლო, გინდ ამ "პრაგმატიზმისთვის" და გინდ ქვეყნისთვის.

- ერთი მოულოდნელი გადასვლა უნდა შემოგთავაზოთ - მერის პირდაპირი არჩევნების მომხრე თუ ხართ?

- რა თქმა უნდა. თუმცა ერთი რამე უნდა გითხრათ - ადამიანი, რომელსაც უნდა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღოს, საქმეს უნდა აკეთებდეს, რადგან არჩევანს ვერ გააკეთებ უსაქმურობის საფუძველზე. შენ უნდა გქონდეს შენი საქმე, გქონდეს შენი ინტერესი და აირჩიო ის, ვინც პასუხობს შენს ინტერესებს. უსაქმური ადამიანი ისევე უსაქმურს აირჩევს. ამიტომაც ჩვენი არჩევნები ფიქცია. დიდი ნაწილი ხმას აძლევს ნაცნობებს და ახლობლებს იმ იმედით, რომ მერე რაღაცაში გამოიყენებენ. აი, მთელი პრინციპი არჩევნებისა უსაქმურობის პირობებში.

- გეთანხმებით, მაგრამ არჩევნის უფლება უსაქმურობის პირობებშიც აქვს ადამიანს. ჯერ ერთი, იქნებ ამითი მაინც დასაქმდეს, მეორეც, დაუშვას შეცდომა, შეცდომაზე ისწავლის. მე ხელოვანის ერთ-ერთ თვისებად მიმაჩნია თანაგრძნობა. სხვისი ტკივილის, სხვისი უბედობის განცდის უნარი. ამ თანაგრძნობიდან გამომდინარე, ჩვენს ყოფაში თუ გაქვთ განცდა, რომ სიახლის შენებას სამართლიანი საძირკველი უდევს?

- რომ განვაზოგადოთ, თანაგრძნობა ერთ-ერთი საწინდარია ამ საყოველთაო ერთიანობის. მორალა,

ჩემი აზრით, წესების დაცვის კოდექსი კი არ არის, არამედ, საერთოს დაცვის პრიპციპი. და რაც ეწინააღმდეგება ამ საერთო პრინციპებს, ის არის ამორალური; ის, რაც მიმართულია საყოველთაო პრინციპების დაცვისკენ, ის ზნეობრივია და მორალური, მთლიანობის ინტერესები მნიშვნელოვანია. სამართლიანობა და უსამართლობა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ვთქვით, სისხლის ალების წესი სამართლიანია თუ უსამართლო?

- ვფიქრობ, რომ უსამართლო. - სწორია. მაგრამ ამის ტრადიციები არსებობს და თავისი ისტორია აქვს. ვინც სისხლს იღებს, იმას ჰგონია, რომ სამართლიანად იქცევა.

- კი, შურისმაძიებელ მკვლელს ჰგონია, რომ უსამართლობა სამართლიანად დასაჯა, მაგრამ მისი ემოციის და თუნდაც ამ ემოციით ისტორიის აყოლა, ბოლოს მაინც ქრისტეს "არა კაც ჰკლას" რევიზიამდე მიგვიყვანს და არა მგონია, თუნდაც ტრადიციად ქცეული ადამიანური ემოციის გამოხატვის ნებისმიერი ფორმა "არა კაც ჰკლას" საპირწონედ გამოდგეს.

- მერე? უღიმღამო, უსახური მასა ყოველთვის ჯაბნის კეთილშობილ ადამიანებს. ყველაგან, ყველა ქვეყანაში. ყველა დროში. სერვანტესის მთელი რომანი იმაზეა, რომ ფულის ტომარა იგებს და რაინდი სასაცილო ხდება. ეს თემა მარადიულია.

- ტომარა იმის ტომარაა, რომ უნდა მოიგოს, რაინდმა, ხელოვანმა უნდა გაიმარჯვოს, თავის ნაგებაში უნდა გაიმარჯვოს და იმარჯვებს კიდევ, რადგან იგი ბუნებითი სამართლის მსახურია და არა კანონმდებლობის. მას აქვს სამართლიანობის მუდმივი მოთხოვნილება, სამართლიანობის განცდა. ჩვენს საზოგადოებაში თუ გაქვთ სამართლიანობის განცდა?

- მე სოციალური ასპექტები საერთოდ არ მაინტერესებს.

- ადამიანს თუ ვინმე უსამართლოდ დაჩაგრავს, სახელმწიფომ ხომ უნდა დაიცვას? დემოკრატია ხომ უნდა იყოს დაცული ქვეყანაში?

- ჰო, სახელმწიფომ უნდა დაიცვას... მაგრამ იცით რა, სწორედ ეს დე-

მოკრატია არის მდაბიობის დაცვა. ძლიერს არ სჭირდება დაცვა. ამ კოდექსს სუსტი ადამიანები ამკვიდრებენ. ძლიერს რად უნდა დაცვა.

- მერე, ხელოვანი ძლიერის აპოლოგეტია თუ სუსტის მოსარჩელე?

- ხელოვანი ჭეშმარიტების და ესთეტიკის დამცავია. აი, ბაჟბუქ-მელიქოვი გაიმარჯვა? თუ დაიჩაგრა? გაჭირვებაში ცხოვრობდა. მაგრამ მე მგონი, გაიმარჯვა. ფიროსმანმა გაიმარჯვა? ფიროსმანს რად უნდა ვინმეს დაცვა. რასაკვირველია, სამართალი უნდა იყოს, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოდის. ისე, სწორი გითხრათ, მე სახელმწიფო არ მიყვარს. არც სახელმწიფო ინსტიტუტები მიყვარს. თვითონ სახელმწიფოს არსებობა ჩემთვის არ არის მისაღები. უბრალოდ, ვითმენ. რა არის სახელმწიფო - რაღაც დამთრგუნველი, ძალაზე დაყრდნობილი, აუცილებლობის შემსრულებელი. სადაც დიდი გასაქანი ეძლევა სისულელეს. ისე, ხელნაწილსაკრავი რამე არ არის სისულელე. არის ეგრეთ წოდებული არაკომპეტენტურობისაკენ სწრაფვა. ვთქვით, მუშას უნდა, იყოს საამქროს უფროსი, მერე მოუწდება, იყოს განყოფილების უფროსი, მერე დირექტორის მოადგილე, მერე დირექტორი და ასე შემდეგ. და როცა არაკომპეტენტურობის აბსოლუტურ დონეს მიაღწევს, მერე პარლამენტში მიდის. მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. თუმცა, ეს სწრაფვა არაკომპეტენტურობისაკენ არის სწრაფვა პროგრესისაკენ, რადგან ადამიანს უნდა, საკუთარ თავს გადაამეტოს. თავისთავად არ არის ცუდი სურვილი, მაგრამ ამ არაკომპეტენტურ ადამიანებს კრიზისამდე მიყვავართ. თუმცა რა ვიცი, რას ვერჩი ამ პარლამენტარებს...

- მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ადამიანს, ადამიანის სიცოცხლეს უნდა იცავდეს. რაც შეეხება ხელოვანს, ჭეშმარიტების და ესთეტიკის მცველობა, ვფიქრობ, ადამიანების გრადაციას ძლიერებად და სუსტებად არ გულისხმობს. უფალმა ჯვარზე ადამის მოდგმის ცოდვა-ბრალი აიტანა ყოველგვარი გრადაციის გარეშე, მისთვის ხომ ყველანი ერთნაირად სუსტები ვიყავით და



ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

# კომპრომიზის სავალალო შედეგები

ნოდარ ლაღარია  
ლილია გუზარაშვილი

პატარა ქალაქი არკეიე პარიზის ჩრდილოეთით მდებარეობს, ლამის დედაქალაქის გარეუბანია. აქ ცხოვრობდა ევროპის ისტორიაში სკანდალური სახელისა და ტრაგიკული გამოცდილების მქონე ადამიანი — დონატიენ-ალფონს-ფრანსუა, გრაფი დე სადი. და თუმცა გრაფის წოდება კანონიერად მიიღო, თვითონ ამჯობინებდა მარკიზის ტიტულით გამოჩენილიყო საზოგადოებაში. სწორედ ასე იცნობს მას კაცობრიობა: მარკიზი დე სადი, რომლის სახელი ერთ-ერთ უმძიმეს ფსიქოლოგიურ გადახრას დაერქვა. სხვათა შორის, არკეიეში თუ დე სადის სახლისკენ მანქანით გაუყვებით გზას, სახლიდან 50 მეტრის მანძილზე, აღმართის დასაწყისთან შეგხვდებით მაჩვენებელი Dérivation — რაც ფრანგულად ნიშნავს როგორც შემოვლით გზას, ასევე ფსიქიკურ გადახრასაც...

თუმცა ამჯერად საქმე დე სადის გზნებითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრებასთან არ გვექნება. ჩვენი ისტორია უფრო მოსაწყენი, მაგრამ ნიშანდობლივია. ერთი სიტყვით, 1956 წლის 15 დეკემბერს, პარიზის მე-17 ოლქის სისხლის სამართლის სასამართლომ დაიწყო საქმის განხილვა. სხდომა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ამგვარ ვერ დასრულდა. ის წელი მოვლენებით იყო აღსავსე: სუეცის ომი, ანტისაბჭოთა ამბოხი უნგრეთში. და მაინც, პარიზში გამართულმა სასამართლომ საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო, რადგან მასში მონაწილეობდნენ საფრანგეთის ისეთი ცნობილი ფიგურები, როგორებიც იყვნენ სიურეალიზმის ცნობილი წარმომადგენლები: ჟან კოქტო, ანდრე ბრეტონი, ჟორჟ ბატაი. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 1957 წლის 10 იანვარს, მაგრამ საქმის განხილვა არ დამთავრებულა: ის გაგრძელდა საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოში და საბოლოო ვერდიქტი მხოლოდ წლისა და ოთხი თვის შემდეგ მიიღეს.

სასამართლო განხილვას არ ესწრებოდა ბრალდებული. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი სასამართლომდე 142 წლით ადრე გარდაიცვალა — ეს მარკიზი დე სადი იყო.

1956 წლის სასამართლო გამოიწვია დე სადის ნაწარმოებთა ოცდაოთხთმეულის გამოცემამ. გამოცემული იყო ვინმე ჟან-ჟაკ პოვე-

რი, ნიგნები კი 1947 წელს გამოჩნდა პარიზის დახლებზე. სისხლის სამართლის საქმე პოვერის წინააღმდეგ 1953 წელს აღიძრა — იმ დროისთვის დე სადის ყველაზე სკანდალური რომანი "სოდომის ასოცი დლე" უკვე ხუთი წლის განმავლობაში იყო ხელმისაწვდომი ფართო მკითხველისთვის. გულახდილად რომ ვთქვათ, დე სადის თხზულებათა ეროტიკული მუხტი გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე იმავე პოვერის მიერ 1954 წელს გამოცემული მისი თანამედროვე რომანი "ო-ს ისტორია" ან 1950-იანი წლების კომერციული პორნოგრაფია. მაგრამ თუ ეს ყველაფერი მხოლოდ უკიდურესი გამოხატულებაა დასავლური ცივილიზაციისა, დე სადის ნიგნები ამ ცივილიზაციის მიმართ შეურაცხმყოფელი ზიზლითაა აღსავსე.

სასამართლო პროცესზე განხილეს დე სადის ოთხი ნიგნი: "სოდომის ასოცი დლე", "ახალი ჟიუსტინა", "ჯიულიეტი" და "ბუდუარის ფილოსოფია". მაგრამ ვერ ერთმა მოსამართლემ ვერ გამოიტანა კონკრეტული დასკვნა ადამიანის ფსიქოლოგიაზე მათი გავლენის შესახებ. XIX საუკუნეში არსებობდა თვალსაზრისი, რომ "ურჩხულის" ნაწერების მკითხველს ხორცის დაღუპვა და სულის წარწყმედა ელის. არსებობდა ცნობები ქალიშვილების შესახებ, რომლებიც დე სადის ნიგნების ნაკითხვის შემდეგ გიჟდებოდნენ ან თავს იკლავენ. ერთ-ერთმა მოსამართლემ საფრანგეთის აკადემიის წარმომადგენელს, ჟან პოლანს შემდეგი კითხვით მიმართა: შეიძლება თუ არა დე სადის ნაწარმოებებ-



მაქს ერნსტის "ქალწული" - სიურეალისტებისა და დე სადის კიდევ ერთი "ლინკი".



## ჭაობის მკვლელობები

1966 წლის 19 აპრილს ინგლისში საყვარლებს, ჩესტერ ბრედისა და მაირა ჰინლის წაუყენეს ბრალი 17 წლის ყმაწვილის, 12 წლის ბჭისა და 10 წლის გოგონას მკვლელობაში. გვამები აღმოაჩინეს მანჩესტერსა და ჰადერსფილდს შორის გაჭიმულ დაჭაობებულ ტერიტორიაზე, საიდანაც მკვლელობამ თავისი სახელი მიიღო. მოგვიანებით იქ 16 წლის ქალ-ვაჟის გვამებიც ნახეს. მტარვალები ჯერ სასტიკად აწამებდნენ მსხვერპლს და ყველაფერს მაგნიტურ ფირზე ინერდნენ. სასამართლოზე ეს ფირები ბრალდებამ ააჟღერა. მსხვერპლთა სიცოცხლის უკანასკნელი წუთების ჩანაწერი საშინელ განსაცდელად იქცა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთათვის. ამაზრუნე იყო განსასჯელთა გულგრილობა ჩადენილის მიმართ. პროკურორის მოთხოვნით მოიტანეს ნიგნები მკვლელთა პირადი ბიბლიოთეკიდან და სულ მალე მსოფლიოს ეუწყა, რომ საზარელი მკვლელობები დე სადის შთაგონებითა და ანდერძით იყო ჩადენილი.

მართალია, დე სადის არც ერთი ნიგნი იქ არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ იდო ცნობილი ანთროპოლოგის, ჯოფრეი გორერის გამოკვლევა "მარკიზ დე სადის ცხოვრება და იდეები". ამ ნიგნს ისეთივე წარმატებით შეიძლება ეწოდოს პორნოგრაფიული ან თუნდაც სადისტური, როგორც კანტის "წმინდა გონების კრიტიკას". და მაინც, ჟურნალისტები ინგლისშიც ჟურნალისტები არიან და არ უყვართ ტვინის ყყლეტა, განსაკუთრებით კი ბრაზდებიან, თუ ამხელ, რომ ვერაფერი გაიგეს.

მეორე ნიგნი იყო დე სადის "ჟიუსტინა", მაგრამ ისეთი მიახლოებითი და შერბილებული თარგმანი, რომ მის გაყიდვას ის მაღაზიებიც არ ერიდებოდნენ, რომლებმაც ახლოს არ გაიკარეს ლოურენსის რომანი "ლედო ჩატერლის საყვარელი". ჟურნალისტებმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს მკვლევები დე სადის მიმდევრები იყვნენ. მაგრამ მარკიზის ის ნიგნები, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, 1793 წელს ფრანგ რევოლუციონერებს ტერორის გასაძლიერებლად შთაგონებდნენ, ინგლისელ მანიაკ პროლეტარებს თვალთაც არ ენახათ. ჟურნალისტების მოტივაცია გასაგები იყო: ოდესღაც მსოფლიო იმპერიაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს თავბრუდამხვევი სისწრაფით კარგავდა პოლიტიკურ გავლენას, აბა, ვინ მოინდომებდა მემარცხენე პო-

ლიტიკური იდეების გაცოცხლებას და იმის გახსენებას, რომ დანაშაულს სოციალური საფუძვლებიც აქვს! იყო მეორე მიზეზიც: როგორც კი დე სადის სახელი წარმოითქვა, მკვლელობათა სენსაციურობა მკვეთრად გაიზარდა. უკვე აღარავის ახსოვდა, მაგალითად, ბრედის ბავშვობა, რომელმაც გლაზგოს ქუჩებში გაიარა, გორბოლზის უბანში, სადაც მთელი ევროპის ნაძირალები შეკრებილიყვნენ. ჯერ კიდევ დაწყებითი სკოლაში სწავლისას ბრედიმ იმით გაითქვა სახელი, რომ კლასში ერთადერთს ჰქონდა დასაკეცი დანა, რომელსაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ კატების წინააღმდეგ იყენებდა. ცოტა მოგვიანებით თანაკლასელი მიაბა ბოძს, გაზეთებში შეახვია და ცეცხლი წაუკიდა. თერთმეტი წლისა მთელი ხმით გაჰკოდა: "ზიგ ჰაილ!". დე სადის გაკვეთილები სრულიად ზედმეტი იყო.

მით უმეტეს, რომ ბრედიმ, რომელიც მსხვერპლს, ყოველთვის ცუდით კლავდა, ამ იარაღის ხმარება საყასბოში ისწავლა, როცა ყასბის თანაშემწედ მუშაობდა. დიდი განსხვავებაა ნიგნის კითხვასა და კაცის კვლას შორის. გაცილებით მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან ადამიანისა და ცხოველის გვამის აქნა. საყასბოშიც უფრო ადვილად მიეჩვევი სისასტიკეს, ვიდრე ბიბლიოთეკაში. მაგრამ ჟურნალისტებს ასეთი მარტივი აზრები არ აკმაყოფილებდათ. მათთვის არაფერს ნიშნავდა ის გარემოება, რომ ბრედისა და ჰინდლის ადამიანებისთვის სულაც არ იყო საჭირო დე სადის ფილოსოფია: მათ აღსავსებლად ისეთი იაფფასიანი ნიგნებიც იკმარებდა, როგორებიც იყო "მაღალი ქუსლები" ან "მათრახის კოცნა", რომლებიც ასობით იდო ინგლისის დახლებზე.

ჟურნალისტები გაჰკვიდნენ: დე სადი და ჰიტლერი იყვნენ ჭაობის მკვლელთა სულიერი მამები! თუმცა აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ბრედისა და ჰინდლის ნაცისტურ გერმანიაშიც ისეთივე ზიზლით მიუსჯიდნენ სიკვდილს, როგორც ლიბერალურ ინგლისში, ხოლო დე სადი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროს მოსამართლედ მსახურობდა, ყველა ღონეს ხმარობდა უდანაშაულოთა გასამართლებლად — ამ დროს იგი ბასტილიაში ჩააგდეს "დანაშაულებრივი ლმობიერებისათვის". ჟურნალისტები მხოლოდ იმ პარადოქსებს აღიარებენ, რომლებიც მათ წარმოდგენებში ეტყვა.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

მა სახიფათო ზეგავლენა მოახდინონ მკითხველზე? პოლანს ამგვარი შესაძლებლობა არ გამოუჩინებია და ერთი მაგალითიც მოიყვანა თავისი პრაქტიკიდან, როცა დე სადის ნიგნების ნაკითხვის შემდეგ ერთი გოგონა მონაზვნად აღიკვეცა.

გამომცემელი ჟან-ჟაკ პოვერს ბრალად საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ ქმედება წაუყენეს. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში დე სადის ნიგნების თავისუფალი ყიდვა შეიძლებოდა მართლმსაჯულების სასახლიდან სულ რაღაც ასიოდ მეტრში. თანაც აქ არა მარტო პოვერის გამოცემული დე სადი იყიდებოდა, არამედ "ოლიმპია პრესის" გამოშვებული ნიგნები საგანგებო შენიშვნით: "აკრძალულია შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში შეტანა". თუმცა იმავე დროს ლონდონის შავ ბაზარზე შეიძლებოდა "ჟიუსტინას" და სხვა ნიგნების ყიდვა რვა გირვანქა სტერლინგად, რაც მუშის ერთი კვირის ხელფასს უდრიდა.

1956 წლის დეკემბრის პროცესი პარიზში დაიწყო პოვერის ადვოკატის, მორის გარსონის სიტყვით. ადვოკატმა დაცვის სტრატეგია ააგო პრესის თავისუფლების აღიარებაზე, რამაც გამოხატულება პოვა ჯერ კიდევ 1791 წლის 3 სექტემბერს მიღებულ საფრანგეთის კონსტიტუციაში. სხვადასხვა მაგალითების მოხმობით გარსონმა აჩვენა, რომ ფრანგული ცენზურის ასორმოცდაათწლიანი ისტორია სხვა არაფერია, თუ არა უნაყოფობის, აბსურდულობისა და პოლიტიკური სიბეცის ნიმუში. ადვოკატის სიტყვა ინტელექტის თავისუფლების მართლაც მძლავრი აპოლოგია იყო. სამწუხაროდ, მას ვერაფრით დაეხმარა მონმეთა ჩვენებები.

პირველი, ვინც საქმე გააფუჭა, თვით გამოცემელი და მოპასუხე პოვერი იყო. მოსამართლემ ჰკითხა მას: არის თუ არა დე სადის ნაწარმოებები უხამსი. პოვერი დათანხმდა, მაგრამ დასძინა, რომ მის მიერ გამოცემული ნიგნები ვერანაირად ვერ იქნებოდა საზოგადოებრივი ზნეობისათვის სახიფათო, რადგან ტირაჟი ფრიად შეზღუდული იყო. უფრო უარესი პასუხის მოფიქრება მართლაც ძნელი იყო: პოვერი თითქოს ხელის ერთი მოსმით უარყოფდა ადვოკატის მიერ გაწეულ შრომას და სრულიად აბათილებდა დაცვის სტრატეგიას. შიშის თუ სიბრყვავის გამო, პოვერი ბრალდების მხარეზე დადგა.

სავარაუდოდ, პოვერი ფიქრობდა, რომ კომპრომისი უშველიდა მის საქმეს. აქ ლოგიკამ უღალატა: შეიძლება იყო ან უმნიშვნელო გამოცემელი, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს, ან ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი, ვინც ადამიანებს ანიჭებს შესაძლებლობას, იკითხონ ის, რაც სურთ; მაგრამ არ შეიძლება იყო ორივე ერთდროულად. ამ ალტერნატივებს შორის არ არსებობს კომპრომისი.

დანარჩენმა მონმეებმა, მიუხედავად მათი დიდი სახელისა და ავტორიტეტისა, ვერ უშველეს უკვე წაგებულ საქმეს. აკადემიკოსმა ჟან პოლანმა იმით დაიწყო, რომ შეეცადა დაეცვა დე სადის ნაწარმოებებში არსებული "განადგურების სინმიწედ". მაგრამ იურისტები საფრანგეთშიც იურისტები არიან, ესე იგი, არ უყვართ ტვინის ყელტა და თავს შეურაცხყოფი-



ანდრე ბრეტონი



ჟორჟ ზუკოვი



ჟან კოქტო

ლად გრძობენ, როცა ისეთ რამეს ეუბნები, რისი გაზომვაც შეუძლებელია კანონთა კრებულში არსებული დებულებებით. პოლანის გამოსვლაში სხვა სუსტი ადგილიც იყო: მან თქვა, რომ არსებობს მრავალი ნიგნი, რომელიც დე სადის ნაწერებზე უფრო მეტ სამიშროებას შეიცავს ადამიანის ფსიქიკისათვის. მაგრამ იურიდიულ ყაიდაზე ანუ ობიექტური გონებისათვის არც ეს არგუმენტი გამოდგა, რადგან არ შეიძლება გაამართლო ვინმე იმის გამო, რომ სხვა დამნაშავეები ჯერ არ დაუჭერიათ.

რომანისტი და ფილოსოფოსი ჟორჟ ზუკოვი არანაკლებ ნარუმატული აღმოჩნდა. მან განაცხადა, რომ სადის ფილოსოფია მართლაც მომავლიდან მომავალს უკავშირებს. მათი გამოტანა საერთო მოხმარებისთვის სამიშა! — ჩაეკითხა მოსამართლე. ამ დებულებას ზუკოვი აღარ დაეთანხმა და მიუგო, რომ რომანები სამედიცინო თვალსაზრისით ლეგალურ დოკუმენტებს წარმოადგენენ. ზუკოვი დასძინა, რომ სჯერა ადამიანის კეთილი ბუნებისა და დარწმუნებულისა, რომ რეალური ქალები და მამაკაცები არ გამოიყენებენ დე სადის თეორიებს პრაქტიკულად.

— გილოცავთ, მესიე, — მშრალად უპასუხა მოსამართლემ, — თქვენი ოპტიმიზმი შესანიშნავად გახასიათებთ.

დე სადის სხვა ორი სახელოვანი დამცველი საერთოდ არ ესწრებოდა სასამართლო სხდომას. ჟან კოქტომ სასამართლოს წერილობით მიმართა. თავის განცხადებაში იგი იცავდა დე სადს როგორც ფილოსოფოსსა და მორალისტს.

— ნუთუ ჟან კოქტომ მართლაც ასე დაწერა? — ეჭვით იკითხა თავმჯდომარემ.

ასე რომ, ფრანგული კულტურის სიამაყემ ვერაფრით უშველა ვერც გარდაცვლილ დე სადსა და ვერც ცო-

ცხალ პოვერს. ანდრე ბრეტონმაც წერილობით განცხადება გამოაგზავნა, მაგრამ ის ვერ იპოვეს და, შესაბამისად, სასამართლოსაც ვერ წარუდგინეს.

მაგრამ არც ბრალდებამ ჰქონდა უკეთესად საქმე: თხზულებათა კრებულზე უკვე იყო გამოცხადებული საჯარო ხელმოწერა, ჟურნალებში უკვე ჩატარდა სარეკლამო კამპანია, გამოცემის ტომები უკვე იყიდებოდა სენის სანაპიროებზე. თუ პოვერს გაამართლებდნენ, ვინა დაუშლიდა მას დე სადის თხზულებათა მასობრივი ტირაჟით გამოცემას? ეს ათ წელიწადში მართლაც მოხდა, მაგრამ გამოცემელი პოვერი აღარ ყოფილა. სასამართლოს წინაშე კი ერთი გადაუჭრელი საკითხი იდგა: არის თუ არა დე სადის ნაწერები საზოგადოებრივი მორალი შეურაცხყოფა?

მორის გარსონი, რომელმაც ყოველგვარი კომპრომისის გარეშე დაიცვა პრესის თავისუფლება, სასამართლო პროცესის ერთადერთი გონიერი მონაწილე აღმოჩნდა. მისი პათოსის ერთ-ერთი საყრდენი ის იყო, რომ საზოგადოებრივი მორალი არ დგას ერთ ადგილას, არამედ ევოლუციას განიცდის. შესაძლოა, რომ გარსონის მიერ ფორმალური კამათის არჩევა განპირობებული იყო მისი პროფესიული შეზღუდულობით, მაგრამ სწორედ ეს შეზღუდულობა იყო გამარჯვების ერთადერთი გზა. სა-

სამართლოზე დისკუსია იურიდიულ ფარგლებში უნდა გაიმართოს, სასამართლო არაა არც აკადემიური და არც ამბიონი: აქ ერთნაირად უადგილოა ღრმა ფილოსოფიური განხილვები და ქადაგება. თვით პოვერის უხერხემლო პოზიციაც ნამგებობანი იყო.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს დარბაზში წაიშალა წერილი გამოცემლის პლებიურ სიმხდალესა და შემოქმედებითი ელიტის დეკადენტურ განწყობებზე

ლობას შორის ყოველგვარი განსხვავება. ადვოკატ მორის გარსონი სალი აზრი საკმარისი არ აღმოჩნდა მათ გადასაწონად: 1957 წლის 10 იანვარს სასამართლომ დამნაშავედ სცნო პოვერი და ჯარიმა დაუწესა. დე სადის ოთხი ხსენებული რომანი კი სასამართლო განჩინებით აიკრძალა.

1958 წელს უზენაესმა სასამართლომ საბო-

ლოო განაჩენი გამოიტანა: დე სადის ერთიკუთხედი ნაწარმოებები გამოსაქვეყნებლად დაუშვეს, მაგრამ ოთხი თხზულება, რომელიც პოვერის გამოცემის თოთხმეტ ტომს შეადგენდა, აკრძალვას ექვემდებარებოდა. მაინც რა ბედი ეწია დე სადის ლიტერატურულ მემკვიდრეობას? — მართალი ისევ და ისევ ადვოკატი მორის გარსონი აღმოჩნდა. საზოგადოებრივი მორალი იცვლება: მარტივად რომ ვთქვათ, ცხოვრებას თავისი გააქვს და ადამიანები ხშირად ვერც კი ამჩნევენ იმას, რომ მათ გარშემო სამყარო სხვაა და ისინიც უკვე სხვები არიან. 1960 წელს ინგლისში ალიძრა სასამართლო პროცესი მწერალ დევიდ ჰერბერტ ლოურენსის წინააღმდეგ: მისი რომანი "ლუდი ჩატერლის საყვარელი" ვილაცამ უზნებობად მიიჩნია. 1959 და 1964 წელს იმავე მიზეზით სასამართლო დევნის ობიექტი შეიქნა ამერიკელი მწერალი ჰენრი მილერი რომანისთვის "კირჩხიბის ტროპიკი". ყველა ეს პროცესი მომჩინებმა წააგეს, ავტორები კი გამართლებულ იქნენ. ამის შემდეგ ანგლოსაქსურ ქვეყნებშიც იწყო გამოსვლა დე სადის ნიგნებმა. საზოგადოება უკვე სრულიად მშვიდად შეხვდა მათ: არავითარი გამართლება არ მომხდარა, უბრალოდ, დრო შეიცვალა და უკვე აღარავის მოსდიოდა აზრად სასამართლოში ჩივილი. ნიშნავს თუ არა, რომ კაცობრიობა უფრო უზნეო გახდა?

საკითხის ამგვარი დაყენების უაზრობას თვალსაჩინოდ ამტკიცებს ერთი მაგალითი: ბიბლიურ პატრიარქ იაკობს ორი ცოლი ჰყავდა, მომდევნო თაობებში როგორც იუდეველობამ, ასევე ქრისტიანობამ მრავალცოლიანობა უარყო. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ადამიანები უფრო ზნეობრივი გახდნენ? თვით ნეტარი ავგუსტინე, მონანიების პათოსით აღვსილი მოღვაწე, თავის "აღსარებაში" ლაპარაკობს ყოფითი მორალის ფარდობით ხასიათზე. ამის დასამტკიცებლად, შეიძლება გამოვიყენოთ ის, რომ ფაშისიმის ყველაზე მძაფრი კრიტიკისათვის იტალიელმა რეჟისორმა, პიერ პაოლო პაზოლინიმ სწორედ დე სადის "სოდომის ასოც დლეს" მიმართა.

მაგრამ უფრო საინტერესოა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ჟორჟ ზუკოვის გულუბრყვილო ოპტიმიზმი გამართლდა: ადამიანები, რომლებსაც დე სადის ნიგნები მოსწონდათ, შესაძლოა, ხალისით ერთვებოდნენ ეგზოტიკურ სიამოვნებებზე ოცნებაში, მაგრამ სრულიად არ ესმოდათ ფრანგი აზნაურის სასონარკვეთილი ხმა, რომელიც რევოლუციური ძალადობისკენ მოუწოდებდა. ჯანსაღმა მომხმარებელურმა საზოგადოებამ მგზნებარე მარკიზის დამანგრეველი იდეები მომგებიან ბრენდად აქცია და აკრძალულ ხილზე მეოცნებე მდაბიო ბურჟუებს მიუგდო საჯიჯგნად.



ალმართი მარკიზის საგვარეულო სახლისკენ.

ლელა პერიკის  
თარგამანი იტალიურიდან

ბაზრძილაძე  
დასახელები №1, 2, 3, 4

V თავი

დიდებული ხანი სამეფო სასახლის მალაღობი მოაჯირიდან იმპერიის ზრდას აკვირდება. პირველად საზღვრების ხაზი გაფართოვდა და დაპყრობილი ტერიტორიები მოიცვა, ლეგიონები წინ მიიწვედნენ, მაგრამ ნახევრად უდაბური რაიონები, ლატაკი ქოხმანის სოფლები, ბრინჯის მოსაყვანად არახელსაყრელი ჭაობები, გაძვალტყავებული მოსახლეობა, დამძალი მდინარეები, ლელიანები ზედმოდათ. "დროა, ჩემმა იმპერიამ, რომელიც უკვე ძალიან გაიზარდა გარეთკენ, - ფიქრობდა ხანი, - შიგნიდან ზრდა დაიწყო", და ოცნებობდა სიმნიფიგანე ქერქდამსკდარი

ბრონეულის ტყეებზე, მწვანე შევარდისფერებულ ზებუებზე, რომლებსაც ქონი ჩამოხვეთავს, მინისქვეშა ლითონისმემცველ ნყაროებზე, თვითნაბად ბრწყვიალა მენყერებად რომ გადმოიფრქვევიან. ახლა სიუხვის მრავალმა სეზონმა გადააგვს ბელლები. წყალუხვმა მდინარეებმა მორების ტყე მოიტანეს, რომლებიც ტაძრებისა და სასახლეების ბრინჯაოს სახურავების საბჯენებად იქნა გამოყენებული. მონათა ქარავნებმა მთელ კონტინენტზე გადაადგილეს სერპენტინი მარმარილოს მთები. დიდებული ხანი ჭვრეტს იმ ქალაქებით დაფარულ იმპერიას, რომლებიც მინას და ადამიანებს ამძიმებენ, სიმდღერითა და ნაგვით გადავსებულ იმპერიას, ზეგადატვირთულ ორნამენტებითა და დავალებებით, გართულებულ მექანიზმებითა და იერარქიებით, გაბერილს, დაჭიმულს, მტკივნეულად მიძიმეს. "თავისივე მანა წყელტს იმპერიას", ფიქრობს ყუბლაი, და სიზმრად ხან ფრანგივით მსუბუქ ქალაქებს ხედავს, ხანაც მაქანებივით თხელ, კოლოებისგან დამცავი ბადესავით გამჭვირვალე ქალაქებს, ფოთლის ძარღვებით მქრქალ ქალაქებს, ქალაქებს ხელისგულის ხაზებით, ფილიგრანულებს, რომლებიც მათი გაუმჭვირვალე და მოჩვენებითი სისქის მიღმა შეიძლება დაინახოს.

წუხანდელ სიზმარს ვიამბობ, - ეუბნება მარკოს. - რალაც ბრტყელი და ყვითელი მინის ცენტრში მეტეორიტები და ეგზოტიკური კაჭარები იყო მიმოხვეული, შორიდან ვხვდავდი, როგორ ამოიზრდებოდა ქონგურებიანი ქალაქის ფაქიზი ნვერები, რომლებიც ისე იყო აღმართული, რომ მთვარეს გადაადგილებისას ხან ერთზე შესძლებოდა ჩამოსვენება, ხან - მეორეზე, ან ექსანავა ამნების კაბელებზე ჩამოკიდებულს.

და პოლომ: - ქალაქი, რომელიც დაგესიზმრა, ლალაჯეა. ამ ქალაქის მცხოვრებლებმა იმიტომ მოიწვიეს მთვარე და მოუშადავს მას ლამეულ ცაში ეს გაჩერებები, რომ მთვარეს ქალაქში ყველაფრისთვის უსასრულოდ ზრდისა და გაფართოების საშუალება მიეცა.

არის კიდევ რალაც, რაც შენ არ იცი, - დამატა ხანმა. - მადლიერმა მთვარემ ქალაქ ლალაჯეს ერთი ძალიან იშვიათი უპირატესობა უბოძა: გაზრდილიყო სიმსუბუქით.

მსუბუქი ქალაქები. 5.

ახლა გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა, მე კი მინც გეტყვით, როგორაა

ნაშენი ოტავია, ქალაქი - ობობას ქსელი. ორ დამრეც მთას შორის ერთი მორევა: ქალაქი სიცარილეზეა გამოკიდებული, თოკებით, ჯაჭვებით და პატარა ხიდებითაა ორ ქედზე დამგრებული. სიარულით გარდვიარდმო გადავულ ხის ძელებზე დადიან, ყურადღებით არიან, რომ ფეხი ღრიჭობში არ ჩაუვარდეთ, ან კანაფის თოკებზე ცოცავენ. ქვემოთ არაფერია ასეულობით მეტრზე: ერთი-ორი ღრუბელი თუ გაივლებს; უფრო ქვემოთ კი ხრამის ღრმა ხახა ჩანს.

ქალაქის საძირკველი ესაა: ბადე, რომელიც გადასასვლელად და საყრ-

ხომ ვერ ძლებენ - ქალაქების ნარჩენებს გარდაცვლილების ძვლების გარეშე - მათ ხომ ქარი ფანტავს - ჩახლართული ურთიერთობების ობობას ქსელებს, რომლებიც რალაც ფორმას ეძებენ.

ქალაქები და თვალები. 3.

შვიდი დღე ტყე-ტყე რომ ივლი, თუ ბაუჩიში მიდიხარ, ვერ ხედავ მას, არადა უკვე მისულხარ. ქალაქს თხ-

მოცდათბინიანი კორპუსი იჭერს, ისინი მრავლებიან და მათ ყოველს სამზარეულოში შეხვდებით. მათი გარჩევა რომ არ გაგვიჭირდეს, პირველებს პენატები დავარქვათ და მეორეებს - ლარები.

ვერ ვიტყვი, რომ ერთსა და იმავე სახლში ლარები ყოველთვის ლარებთან არიან და პენატები - პენატებთან: ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, ერთად სეირნობენ მობათქაშებულ ჩარჩოებზე, რადიატორების მილებზე, თავიანთ აზრს გამოთქვამენ იმაზე, რაც ოჯახში

ბენ, ხან ჩურჩულენ, ხან ერთმანეთს უტატანებენ, ერთმანეთში ცვლიან მახვილიტყვაობას, ჩაფრუტუნებას, ირონიულ ჩაცინებებს.

ქალაქები და წასულები. 1.

მელანიამი როცა მოედანზე შედიხარ, ყოველთვის რალაც დიალოგს შეესწრები: მკვებარა ჯარისკაცი და პარაზიტი ერთი კარიდან გამოდიან, ხვდებიან ახალგაზრდა მფლანგველს და მეძახს; ან ძუნწი მამა ზღურბლიდან უკანასკნელ რჩევებს აძლევს საყვარელ ქალიშვილს, მას აწყვეტინებს სულელი მოსამსახურე, რომელსაც მაჭანკალთან მიაქვს წერილი. ნლგის შემდეგ თუ დაბრუნდები მელანიამში, ისევ იგივე დიალოგს შეესწრები, რომელიც გრძელდება; ამასობაში გარდაცვლილან პარაზიტი, მაჭანკალი, ძუნწი მამა; მაგრამ მათი ადგილი მკვებარა ჯარისკაცს, საყვარელ ქალიშვილს, სულელ მოსამსახურეს დაუჭერიათ, მათი კი, თავის მხრივ - ფარისევებს, რწმუნებულს, ასტროლოგს.

მელანიას მოსახლეობა განახლდება: დიალოგის მონაწილეები ერთმანეთის მიყოლებით იხოცებიან, ამასობაში კი იბადებიან ისინი, რომლებიც მათ ადგილს დაიჭირონ დიალოგში, ვინ ერთ როლში, ვინ - მეორეში. როცა ვინმე როლს იცვლის ან სამუდამოდ ტოვებს მოედანს, ან პირველად შემოდის მოედანზე, ჯაჭვიური რეაქციით ხდება ცვლილებები, სანამ ყველა როლი თავიდან არ გადაინაწილებს; თუმცა ამასობაში მოხუც განრისხებულს ისევ ენამახვილი მოახელ ეპასუხება, მკვებარე არ წყვეტს ახალგაზრდა განმეცვიდრებულის დევნას, გაღამ - გერი გოგონას დანყნარებას, მაგრამ არცერთ მათგანს ალარა აქვს იგივე თვალები და ხმა, რომელიც წინა სცენაში ჰქონდა.

ხანდახან ხდება, რომ ერთი და იგივე მოსაუბრე ერთდროულად ორ ან მეტ როლს ასრულებს: ტირანის, ქვემოქმედის, მაცნის; ან ერთი როლი გაყოფილია, გამრავლებულია მელანიას ას, ათას მცხოვრებზე განსაზღვრული: სამიათასი ფარისევლისთვის, ოცდაათათასი მუქთამჭამელისთვის, ასიათასი მწარეხვედრიანი მეფისნულისთვის, რომლებიც ალიარებას ელანა.

დრო გადის და როლებიც იცვლება; რა თქმა უნდა, ინტრიგებისა და სცენური ეფექტების საშუალებით გაგრძელებულ აქტებს რალაც ფინალურ გახსნასთან მივყავართ, რომელსაც უფრო და უფრო უახლოვდებიან, მაშინაც კი, როცა გვეჩვენება, რომ ინტრიგა მეტისმეტად ჩაიხლართა და წინააღმდეგობები გამრავლდა. ვინც შემდეგ წუთებში ჩნდება მოედანზე, გრძობს, რომ ყოველი აქტი იცვლება დიალოგი, თუმცა მელანიას მცხოვრებთა სიცოცხლე ძალიან ხანმოკლე საიმისოდ, ეს რომ შეამჩნიონ.

მარკო პოლო ერთ ხიდს აღწერს, ხიდის ყოველ ქვას. კი, მაგრამ რომელ ქვას უჭირავს ხიდი? - ეკითხება ყუბლაი. ხიდს ერთი რომელიმე ქვა კი არ იჭერს, - უპასუხებს მარკო, - არამედ იმ თაღის ხაზი, რომელსაც ისინი წარმოქმნიან.

ყუბლაი ერთხანს ჩუმდაა, ფიქრობს. მერე ამატებს: - რატომ მელაპარაკები ქვებზე? მე მხოლოდ თალი მაინტერესებს.

პოლო უპასუხებს: - ქვების გარეშე არ არსებობს თალი.

ბაზრძილაძე  
პენატა ნოზარძი



უჩინარი ქალაქები

იტალო კალვინო

დენადაა გამოყენებული. ყველაფერი დანარჩენი - თოკის კიბეები, ჰამაკები, ტომრის ფორმის სახლები, ტანსაცმლის საკიდები, პატარა ნავებით ტურასები, წყლის ტიკები, გაზის სანთურები, შამფურები, თოკებზე ჩამოკიდებული კალათები, სატვირთო ლიფტები, შხაპები, ტრაპეციები და რგოლები თამაშებისთვის, კიდული საბავირო გზა, ჭალები, ღარნაკები ფოთლებდაშვებული მცენარეებით - იმის მაგივრად, რომ ზემოთ აღმართებოდეს, ქვემოთაა ჩამობოლი. უფსკრულზე ჩამოკიდებული ოტავიას მცხოვრებლების ყოფა სხვა ქალაქების ცხოვრებაზე ნაკლებად არასაინფორმა. მათ იციან, რომ ხანდახან ბადე ვერ იჭერს.

ქალაქები და ალებმცემობა. 4.

ერსილიაში იმ ურთიერთობების გასამყარებლად, რასაც ქალაქი ეყრდნობა, მცხოვრებლები სახლების კუთხეებს შორის თეთრ ან შავ ან შავ-თეთრ ძაფებს აბამენ, ეს იმის მიხედვით ხდება, ნათესაური კავშირის აღნიშვნა უნდათ, აცვლითი კავშირის, ავტორიტეტულის თუ წარმომადგენლობითის. როცა ძაფები ისე მრავლდება, რომ გავლა შეუძლებელია, მცხოვრებლები იქიდან მიდიან: სახლებს შლიან; რჩება მხოლოდ ძაფები და ძაფების დამჭერები.

ერთი მთის ფერდიდან საშინაო ნივთებით დატვირთული ერსილიადან ლტოლვილები დაბლობზე აღმართულ გაჭიმული ძაფების ხლართს და ბოძებს შესცქერიან. ის ჯერ კიდევ ქალაქი ერსილიაა, ისინი კი ალარავინ არიან.

ისინი თავიდან აშენებენ ერსილიას სადმე სხვაგან. ძაფებით ქსოვენ მსგავს ფიგურას, რომელიც ძველზე უფრო გართულებული და ამავე დროს მოწესრიგებული უნდათ, რომ იყოს. მერე ისევ ტოვებენ მას და უფრო შორს გადადიან თვითონაც და სახლებიც გადააქვთ. ასე შეხვდები ერსილიას ტერიტორიაზე მოგზაურობისას მიტოვებული უგალავნო - გალავნები

ლი ყავარჯნები იჭერენ, რომლებიც მინიდან ერთმანეთისგან დიდი მანძილის დაშორებით ამოიზრდებიან და ღრუბლებს იქით იკარგებიან. იქ პატარა კიბეებით აღიზარ. იქაურები იშვიათად ჩნდებიან მინაზე: მათ ყველაფერი აქვთ ზემოთ, რაც სჭირდებათ, და ურჩენიათ, ქვემოთ არ ჩამოვიდნენ. ქალაქიდან არაფერი ეხება მინას, გარდა ფლამინგოს იმ გრძელი ფეხებისა, რომელსაც ქალაქი ეყრდნობა, და მზიან დღეებში იმ აუზურული და კუთხოვანი ჩრდილისა, რომელიც ფოთლებულზე გამოისახება.

სამი ჰიპოთეზა არსებობს ბაუჩის მცხოვრებლების თაობაზე: მინა ეზიზნებათ; მინას იმდენად სცემენ პატივს, რომ მასთან კონტაქტს ეკრძალებიან; რომ უყვართ მინა ისეთი, როგორც იგი იყო მათ მოსვლამდე და არ იღლებიან ქვემოთმომართული ჭვარიტებითა და ტელესკოპებით მისი თვალღერებით, ათვალღერებენ თითოეულ ფოთოლს, კენჭს, ჭიანჭველას, მოჯადოებულნი ჭვრეტენ საკუთარ იქ არყოფნას.

ქალაქები და სახელი. 2.

ორი სახის ღმერთები იფარავენ ქალაქ ლენდრას. ერთნიც და მეორენიც ისეთი პატარები არიან, რომ არც კი ჩანან, თანაც იმდენი, რომ მათი დათვლა არ ხერხდება. ერთნი სახლების კარებში ბინადრობენ, ინტერიერში, საკიდებისა და ქოლგების ჩარადების სიხლოვეს; თუ ოჯახი სახლს იცვლის, გადაჰყვებიან ხოლმე მას და როგორც კი გასალბები გადაეცემა ოჯახს, ახალ ბინებში ბუდდებიან. მეორეებს სამზარეულოებში შეხვდებით, მათი საყვარელი სამალავი ქვაბების ქვეშ, ბუხრის ხუფში ან ცოცხების შესანახში: სახლის ნაწილები არიან და როცა იქ მცხოვრები ოჯახი გადადის, ისინი ახალ მოსახლეებთან რჩებიან; იქნევე მანამდეც, სახლის გაჩენამდეც იქ იყვნენ, სამშენებლო ტერიტორიაზე სასრველებს შორის, დაუანგულქილაში შემალულები; თუ სახლს ანგრევენ და მის ადგილს დიდი, ორ-



ხდება, იოლად ჩხუბობენ, მაგრამ ნლობით თანხმობით ცხოვრებაც შეუძლიათ; ასე ერთმანეთის გვერდიგვერდ თუ ნახვ, ვერც კი გაარჩევ, რომელი რომელია. ლარებს თავიანთ კედლებში მრავალგვარი წარმომოხსნა და ჩვეულებების პენატები უნახავთ; პენატებს ძალიან მჭიდროდ ცხოვრება უწევთ როგორც ან გაუბედურებული და ერთ დროს დიდებული სასახლეების მედიდურ ლარებთან, ასევე უესტის ბარაკების ფხუკიან და ეჭვიან ლარებთან.

ლენდრას ჭეშმარიტი არსი უსასრულო დისკუსიების საგანია. პენატები დარწმუნებულები არიან, რომ, თუმცა მხოლოდ მარშან მოვიდრის დიდებული სასახლებისა და გულს ნამოადგენენ და რომ ლენდრასაც თან ნაყოფობენ, როცა აქედან ნავლენ. ლარებს პენატები დროებით სტუმრებად მიაჩნიათ, თავის მომაბეზრებელ, აბეზარ სტუმრებად; ჭეშმარიტი ლენდრა მათია, რომელიც ფორმას აძლევს ყველაფერს, რასაც შეიცავს, ლენდრა, რომელიც მანამდეც აქ იყო, სანამ ყველა ეს დაუპატოვებელი სტუმარი ჩამოვიდოდა, და მაშინაც დარჩება, როცა ყველა ნავა აქედან.

ერთი რამით ჰგავნენ ერთმანეთს: რაც უნდა მოხდეს ოჯახსა თუ ქალაქში, აუცილებლად გამოძებნიან რაიმე გასაკრიტიკებულს, პენატები ნამოინყებენ ლაპარაკს მოხუცებზე, დიდ ბებია-ბაბუებზე, ბებიიდებსა და ბაბუებზე, ოჯახზე, ადრე რომ იყო, ლარები კი იმ გარემოზე, რომელიც არსებობდა, სანამ მას გაანადგურებდნენ. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მოგონებით ცხოვრობენ: ფანტაზიორობენ იმ კარიერის თაობაზე, რომელსაც ბავშვები გაიკეთებენ, როცა გაიზრდებიან (პენატები), იმაზე, თუ რად გადაიქცეოდა ის სახლი თუ ზონა (ლარები), კარგ ხელში რომ მოხვედრილიყო. კარგად თუ მიაყურადებთ, განსაკუთრებით ღამით, გაიგონებთ, ლენდრას სახლებში როგორ გაუთავებლად ყბდო-



# სარკე ინტერიორში

ნატა ჯანაბარიძე  
სტუდია ROOMS-ის დირექტორი

სარკე გვიმეორებს, ზრუნავს ჩვენს გარეგნობაზე, ამძაფრებს ხასიათს და რეალობას. დილაობით გვიქმნის გარკვეულ განწყობას, რომელიც მთელი დღე თან დაგვყვება. ის ყველას გვაქვს, სხვადასხვა ზომის, ფორმის, სტილის და დანიშნულების.



ვენეციური სარკე.

პირველად ადამიანმა, საკუთარი გამოსახულება წყალში დაინახა. შემდეგ, ჩვ.წ.ალ-მდე III ათასწლეულში, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროსგან მრგვალი სარკე გააკეთა. შუშის სარკე, ჩვ.წ.ალ-ით I საუკუნეში, რომში გაჩნდა. მაგრამ ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში ის მაგიურ ნივთად აღიქმეს და ეკლესიაში აკრძალა. მინის სარკეების დამზადების ბოლო ვერსია, ვენეციაში, XV საუკუნეში შეიმუშავეს. ისინი ძალიან ძვირად ფასობდნენ, ამიტომ, ვენეციელმა ოსტატებმა გაასაიდუმლოეს მათი დამზადების ნეის და ყველა "მეშუშე" იზოლირებულ კუნძულ მურანოზე გადაასახლეს. ვენეციური სარკეებით საფრანგეთის არისტოკრატები ისე მოიხიბლენ, რომ ქვეყანას გაკოტრება დაემუქრა - საშუალო ზომის სარკე ორნახევარჯერ ძვირი იყო რაფაელის ტილოზე. ამიტომ, საფრანგეთის ფინანსებ-

ის მინისტრმა კოლბერმა კუნძულ მურანოზე რწმუნებულები გაგზავნა და რამდენიმე ოსტატი მოიხიბდა. ქალაქ ტურ-ლა-ვილში გაიხსნა ევროპაში პირველი საწარმო. ფრანგებმა ვერ შეინარჩუნეს სარკის ტექნოლოგიის საიდუმლო. ვერსალის სასახლეში ააშენეს გალერეა, სადაც გაბრდღვიალებული საწითლებისა და ჭაღების სინათლეს 306 სარკე ირეკლავდა.

გ ა დ ი ო და დრო, იცვლებოდა არქიტექტურის სტილები და ტენდენციები, მაგრამ სარკეს საკუთარი ადგილი ყოველთვის ჰქონდა. მას კედლის მოსაპირკეთებელ მასალად იყენებდნენ სასახლეებში, აფორმებდნენ მთავარი სადარბაზოს კიბის უჯრედს, კიდებდნენ დარბა-



Plaza Athenee Paris.

ზებში და ჩვეულებრივ სახლებში.

სარკეს ინტერიერში, დეკორატიულის გარდა, ფუნქციური დატვირთვაც აქვს - ადიდებს სივრცეს, აძლიერებს სინათლის გავრცელებას, ქმნის სიმყუდროვეს, გვაძლევს საშუალებას, რომ მოვიტყუოთ და ოთახი იდ-

რამდენიმე სარკეც კი ეკიდოს.

სარკის დიზაინს ქმნის მისი ფორმა და ჩარჩო. არის სარკეები, რომელთაც თავისივე, სარკის ჩარჩო აქვთ, ოღონდ სხვაგვარად დამუშავებული, ე.წ. "პესკოსტრუიკის" მეთოდით ან "შელკოგრაფიით".

სარკეს აზრიადა უნდა მო-

უძებნოთ ადგილი. არ მოათავსოთ იქ, სადაც პირდაპირი მზის სხივი მოხვდება, რადგან ის შეიძლება გადახურდეს და გახუნდეს. სინათლის არეკვლით სარკეს შეუძლია გაანათოს ოთახის ჩაბნელებული კუთხე. ამისთვის თვითონ კი არ უნდა იყოს განათებული, არამედ ის ადგილი, რომელსაც ირეკლავს.

P.S. დიდ ოთახში, სადაც სტუმრებს იღებთ, დადგით ან დაკიდეთ დიდი სარკე. ის დეკორატიულ ფუნქციას შეასრულებს და თან გაგახალისებთ. აირეკლავს, ლამაზად გაშლილ სუფრას, გამოპრანჭულ სტუმრებს, მათ მოძრაობას და სიცილს. სარკე ხომ იმეორებს და აძლიერებს ხასიათს და განწყობას.



იტალიური დიზაინი "Stile creazioni".



სასტუმრო ოთახი. სარკის დიზაინი - რატი ერადე.

# ბავარიელთა ახალი შედეგები - "ბეემვეს" მე-3 სერიის კუპე

მარაბ ლორთქიფანიძე

ბავარიელი ავტოკომპანია "ბეემვე" თავისი ახალი მოდელის, მესამე სერიის კუპეს დებიუტს სექტემბრის დასაწყისში პარიზის ავტოსალონზე გეგმავს, თუმცა მანამდე მაინც დააკმაყოფილა ცნობისმოყვართა სურვილი და ამ ავტომობილის ფოტოები და მნიერი ტექნიკური მონაცემები გააცნო მას-მედიას.

თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა, ისინიც კი, ვინც "ბეემვეს" კონკურენტი კომპანიების ავტომობილების ყიდვას ამჯობინებს, ბაზარზე ამ ავტომობილის გამოჩენას მოუთმენლად ელოდა. ეს სულაც არაა გასაკვირი - ბავარიელი ავტოკონცერნი ხომ ყოველთვის ცდილობს, თავისი სედელების სპორტული მოდიფიკაციები ყველაზე და ყველაფრისგან გამორჩეული იყოს. ჰოდა, წინდანინ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, გამონაკლისი არც მესამე სერიის ახალი კუპეა.

რა თქმა უნდა, ეს ავტომობილი ბაზირებულია მე-3 სერიის სედანზე, რომლის დებიუტი შარშან, ფენივის ავტოსალონზე შედგა. მასზე კი "ბეემვე" თავის ისტორიაში პირველად გამოიყენებს ორმაგ ტურბოკომპრესორს და სანავის უშუალოდ წვის კამერაში შეფრქვევის უნიკალურ სისტემას.

პარიზულ პრეზენტაციაზე მნახველის წინაშე წარსდგება ახალი ავტომობილის ორი მოდიფიკაცია. ერთია "325i SE კუპე", რომელიც ალტურვილი იქნება 2.5-ლიტრი მუშა მოცულობის, 6-ცილინდრიანი ატმოსფერული ძრავით, რომელიც 218 ცხენის ძალასა და 250 ნმ მობრუნ მომენტს გამოიმუშავებს. მისი მეშვეობით, კუპეს მაქსიმალური სიჩქარე 244.8 კმ/სთ-ს მიაღწევს.

უფრო საინტერესოა მეორე მოდიფიკაცია - "335i SE კუპე". მის კაპოტქვეშ განლაგებულია 6-ცილინდრიანი, 3.0-ლიტრიანი აგრეგატი, რომელიც ორმაგი ტურბოკომპრესორის მეშვეობით, 306 ცხენის ძალას და 400 ნმ-ს ავითარებს. მას ადგილიდან 100



მესამე სერიის კუპე ბეემვეს სამოდელი რიგში ყველაზე კონსერვატიული გარეგნობით გამოირჩევა.

კმ/სთ სიჩქარის აკრეფა სულ რაღაც 5.5 წამში შეუძლია, მაქსიმალური სიჩქარე კი ხელოვნურადაა შეზღუდული 250 კმ/სთ-ით.

ძრავის ესოდენ მაღალი ტემპერამენტი პირველ რიგში, ორი მომცრო ზომის ტურბოკომპრესორის დამსახურებაა, რომლებიც დაჭირხული აირით სამ-სამ ცილინდრს ამარაგებენ. გარდა ამისა, ძრავის ცილინდრებს სანავი მიენდობა ახალი სისტემის მეშვეობით, რომელიც წვის კამერაში ბენზინს მაღალი წნევით (როგორც დიზელებშია) აფრქვევს. სხვათა შორის, ორივე ტურბოკომპრესორი ჩვეულებრივზე მცირე გაბარიტებით გამოირჩევა. სამაგიეროდ, იმის გამო, რომ ისინი მცირე რაოდენობით ცილინდრებს ემსახურებიან, უფრო სწრაფად რეაგირებენ აქსელერატორის პოზიციის ცვლილებაზე. მუშაობის მთელი ციკლის განმავლობაში, კომპრესორების ბრუნთა რიცხვი 7000 ბრ/წთ დიაპაზონში მერყეობს.

მოგვიანებით, ბავარიელები სხვა მოდიფიკაციების წარმოებასაც დაინწყებენ. ერთია "330i კუპე", რომელიც 6-ცილინდრიანი, 3.0-ლიტრიანი ატმოსფერული (კომპრესორების გარეშე) ძრავით იქნება ალტურვილი. ამ ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 272 ცხენის ძალას მიაღწევს. კიდევ ერთი მოდიფიკაცია, "330d კუპე", ალტურვება 3.0-ლიტრიანი დიზელის ძრავით, რომლის სიმძლავრე 231 ცხენის ძალა, მაქსიმალური მობრუნ მომენტი კი 500 ნიუტონმეტრია.

დიზელისძრავიანი მოდიფიკა-

ციისთვის პრიორიტეტულია როგორც ეკონომიურობა, ასევე შესანიშნავი ტექნიკური პარამეტრები. შესაბამისად, მოდიფიკაცია "330d კუპე" სპორტული თვისებებითაც გამოირჩევა - ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 6.6 წამში ავითარებს, შერეული ციკლით (ქალაქში და ტრასაზე) მოძრაობისას კი ის ყოველ 100 კილომეტრზე 6.5 ლიტრ დიზელის სანავს მოიხმარს. "ბეემვე" მომავალში მყიდველს შესთავაზებს ყველაზე იაფფასიან მოდიფიკაციებს (320i და 320d) და კაბრიოლეტისძარიან მოდელებს.

ახალი კუპე თავისი გარეგნობითაც გამოირჩევა. მას ამ სტილის ავტომობილებისთვის დამახასიათებელი, გრძელი ბაზა (სხვათა შორის, სტანდარტული) და უკან დაწეული კაბინა აქვს. გარდა ამისა, ავტომობილს გამოარჩევს გრძელი, უკან დაქანებული სახურავი, რაც მას კლასიკური კუპეებისთვის დამახასიათებელ, ელეგანტურ პროფილს უქმნის.

ახალი კუპე სტანდარტულ E90 პლატფორმაზეა ბაზირებული. უცვლელი დარჩა ბორბლებს შორის ბაზა, მაგრამ სამაგიეროდ, ძარის სახურავმა დაბლა დაინია და შედეგად, ავტომობილმა უფრო სპორტული იერი შეიძინა. მე-3 სერიის სედანისგან განსხვავებით, კუპეს დამზადებისას ბავარიელები ფოლადის უფრო თხელ ფურცლებს გამოიყენებენ, რისი წყალობითაც, ავტომობილი ნონაში მოიკლებს.

დიზაინის მიხედვით თუ ვიზუალურად, კუპე მე-3 სერიის სედანს ჰგავს, თუმცა მისგან განმასხვავებელი ნიშნებიც აქვს. კერძოდ, ის უფრო კონსერვატიული ფორმებით გამოირჩევა. სედან-

თან სხვაობა კი შეინიშნება ავტომობილის უკანა და წინა მაშუქების ფორმებში. კერძოდ, მათ უფრო მარტივი მოყვანილობა აქვთ. წინა მაშუქები ორგანულადაა შერწყმული საფირმო ორსექციიანი რადიატორის მოყვანილობასთან. გარდა ამისა, კუპეს ექსტერიერის გაფორმებაში უფრო მეტი რაოდენობითაა გამოყენებული კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული პანელები, რისი წყალობითაც, ავტომობილი სედანთან შედარებით, კიდევ ათი კილოგრამით შემსუბუქდა.

ინტერიერში ყურადღებას იქცევს მძღოლისა და წინა მგზავრის სავარძლების პოზიცია. სედანის შესაბამის სავარძლებთან შედარებით, ისინი უფრო დაბლაა განლაგებული და ამგვარად, სიმძიმის ცენტრის დაბლა დაწევას უწყობენ ხელს, ეს კი მნიშვნელოვანია ავტომობილის მანევრულობისთვის. თანაც, სავარძლების დაბლა დაწევა დაბალი სახურავის გამოც გახდა აუცილებელი.

მე-3 სერიის ახალი კუპეტი ბავარიელებმა დაასრულეს თავიანთი სამოდელი გამის განახლება. სხვათა შორის, ამ კუპეს წინამორბედი ბაზარზე შეიძინა წლის განმავლობაში დარჩა და ამის მიუხედავად, თავისი კლასის კონკურენტებთან შედარებით, მაინც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი ავტომობილია. ახალი კუპე იმითაცაა საინტერესო, რომ სხვა განახლებულ მოდელებს შორის, მას ყველაზე კონსერვატიული გარეგნობა აქვს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დაუჯდება მყიდველს ბავარიელთა მორიგი შედეგრი. სავარაუდოდ, ეს ინფორმაცია პარიზულ დებიუტამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნდება.

პარიზივეა მოსალოდნელი ბავარიელთა კიდევ ერთი სპორტული ავტომობილის, V10 ძრავით ალტურვილ კაბრიოლეტ M6-ის პირველი ჩვენება. ოლონდ, მის შესახებ ჯერჯერობით "ბეემვე" არანაირ ინფორმაციას არ ავრცელებს.

სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ კაბრიოლეტ M6-ის გასაღების მთავარი ბაზარი აშშ იქნება. ეს ავტომობილი ალტურვება იმავე ძრავით, რითაც კუპე M6. ესაა 5.0-ლიტრიანი V10, რომლის სიმძლავრე 500 ცხენის ძალაა. მასთან კი შეწყვილებულია

7-საფეხურიანი, სეკვენციალური გადაცემათა კოლოფი. მოსალოდნელია, რომ გაყიდვების დაწყებიდან ცოტა ხანში, მწარმოებელი მყიდველს მექანიკური კოლოფით ალტურვილ კაბრიოლეტ M6-საც შესთავაზებს. ასეთი კოლოფი უკვე მზადდება მოდელ M5-თვის და მას მოგვიანებით კუპე M6-ზეც გამოიყენებენ.

ბავარიელები ამ ავტომობილის ძარის დასამზადებლად ფართოდ იყენებენ ნახშირბადოვანი ქსოვილის კომპოზიციურ მასალებს, რის გამოც კაბრიოლეტი M6 კუპესთან (კუპეს წონა 1700 კგ-ს აღწევს) შედარებით მსუბუქი იქნება.

სავარაუდოდ, კაბრიოლეტ M6-ის გაყიდვები მერმის დაიწყება, მანამდე ცოტა ხნით ადრე კი მისი ფასიც გამოცხადდება.

გარდა ამისა, ცნობილი შეიქნა, რომ ბავარიელი კომპანია წარმოებისთვის ამზადებს თავისი სამოდელი რიგისთვის სრულიად ახალი ტიპის ავტომობილს - სრულმოდულიან (ოთხივე ნაწყვეტობლიან) უნივერსალს აბრევიატურით RFC, რომელიც შემდეგნაირად იწოდება: რუმ ფანქმ კონცეპტ, ანუ კონცეპტია ფუნქციონალური სივრცით. ეს ავტომობილი იმითაცაა საინტერესო, რომ მან კონკურენცია უნდა გაუწიოს "მერსედეს-ბენცის" R-კლასის უნივერსალს, რომელიც ბაზარზე შარშან გამოჩნდა და უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს მყიდველთა შორის.

RFC ბაზირებული იქნება პლატფორმაზე, რომელიც უკვე გამოიყენება მე-5 სერიის სედანებისა და უნივერსალების, ასევე უგზობის X5-ის წარმოებისას. ავტომობილი დაკომპლექტდება ან 6-ცილინდრიანი, 3.0-ლიტრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრე 255 ცხენის ძალაა, ან 4.8-ლიტრიანი, V8 არქიტექტურის აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 375 ცხენის ძალაა.

კაბრიოლეტ M6-ის მსგავსად, RFC-ის გასაღების მთავარი ბაზარიც აშშ იქნება, სადაც ასეთი ავტომობილები განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს. სავარაუდოდ, ამ მოდელის წარმოება 2008 წელს დაიწყება.

დაბოლოს, შტუტგარტში ჩატარებულ გამოვენაზე სახელწოდებით "ინჯინ ექსპო", გამოცხადდა ტრადიციულ კონკურს "წლის საუკეთესო საავტომობილო ძრავის" გამარჯვებული. ეს საპატიო ნოდება ზედიზედ მეორედ ერგო "ბეემვეს" 5-ლიტრიანი V10-ს, რომელიც გამოიყენება კუპეებზე M5-სა და M6-ზე.

ამავე ძრავმა კიდევ ორ ნომინაციაში მოიპოვა მთავარი ჯილდო. გამოფენაზე, ბავარიელთა ძრავებმა სულ ხუთ ნომინაციაში მოიპოვეს საუკეთესოს ნოდება. სხვათა შორის, "ბეემვეს" აგრეგატებმა "წლის საუკეთესო ძრავის" ნოდება მერვედ მოიპოვეს.



მალხაზ სარგაძე

# WHISKY & WHISKEY თამაში ქარის ყანაში

## სუთი "S"-ის წესი

ვისკის არომატის განსაზღვრა და აღწერა ძალზე რთული ამოცანაა, თუმცა აქაც არსებობს გარკვეული ნორმები. ეს სირთულე პირველ რიგში არომატების სიმრავლესთანაა დაკავშირებული - თუკი ვისკის ოთხი ძირითადი გემო და სამი ძირითადი ფერი არსებობს, სურნელთან დაკავშირებით, ეს რაოდენობა ოცდათორმეტადე იზრდება.

პირველ რიგში ალბათ ყველაზე კლასიკური, ტორფის სურნელი უნდა გამოვყოთ. ასეთი ვისკებით აიღეის კუნძულია განთქმული. საერთოდაც, შოტლანდიური კუნძულების ვისკის ძირითადი მახასიათებელი კვამლისა და ტორფის სურნელია, რომელიც ვარირებს კვამლისა თუ ფისის არომატებიდან - იოდისა და ზღვის სურნელამდე. ხავსის, ჭაობებისა და ნახშირის არომატთან ერთად, თქვენ წარმოიდგინეთ, გამოყვანილი თევზისა და ხამსას ტონებიც კი შეიძლება ამოვიცნოთ. ყველაზე კარგი ვისკი კუნძულებიდან, რაც კი ოდესმე გამოსიწავს, "ბოუმორია", "მორისონ ბოუმორის" ნაწარმი, 12 წლიანი დაძველებით, თუმცა არსებობს 17, 25 და 35 წლიანი დაძველების ბოუმორიც, ასევე ძალზე ძვირფასი Bowmore Legend და Bowmore Vintage.

მეორე რიგში ხის ტონები უნდა აღვნიშნოთ, რომელსაც ვისკი ძირითადად დაძველების გამო იძენს, ხის კასრების წყალბით. ძველი კასრები ვანილის არომატს ანიჭებს ვისკის, ახალი კასრები კი ფორთხლის კანის, მუსკატისა და შესაძლოა ნინჯის სურნელსაც.

თუმცა კი ყველაზე ხშირი მაინც მარცვლეულის სურნელია. ძირითადად ესაა მოხარშული სიმინდის, გამომშრალი ხორბლის, თივის, ლუდის არომატი. უცნაურია, მაგრამ ამავე კატეგორიაში ათავსებენ სპეცები ნაკვერჩხალში შემწვარი კარტოფილის, ხორცის ბულიონისა და ღორის ძეხვის ტონებსაც.

არსებობს მცენარეული, ნამცხვარ-ტკბილეულისა და ხილის არომატებიც. ზოგიერთი ვისკი შესაძლოა მართლაც გასაოცარი, არატიპური არომატით გამოირჩეოდეს. მაგალითად Glenturret-ის ციტრუსების ნაზი სურნელი ახასიათებს, ბევრი ვისკია (ძირითადად სპეისაიდის რაიონიდან) ვაშლის, ატმის, მსხლისა და გარგარის სურნელით.

რათა სრულყოფილად ვიგრძნოთ ასეთი დახვეწილი და რთული არომატები, პირველ რიგში (კარგ ვისკისთან ერთად) აუცილებელია რამდენიმე წესის ცოდნა. მიღებულია, რომ ვისკის ე.წ. ტუმბლერით ვსვამთ, სქელძირიანი, განიერი სწორკუთხა ჭიქებით, თუმცა როცა საქმე სინგლ მოლტებზე მიდგება, უკეთესია კონიკის მუცელგაბერილი და ვინროყელიანი ჭიქებით გავსინჯოთ ვისკი. ხელში შევამოთოთ ჭიქა (სითბო არომატულ ნივთიერებების გამოყოფას უწყობს ხელს) და დავეტკებთ ბუკეტით, ფერით და გემოთი. თუკი ჭიქას ნაზად შევანჯღრევთ, ჭიქის კედლებზე წარმოიქმნება ე.წ. "საცეცები" (როგორც ჩანს სწორედ ამ საცეცებზეა ჩაითრია ბევრი სახელოვანი ვი-



მიღებულია, რომ ვისკის ე.წ. ტუმბლერით ვსვამთ. სქელძირიანი, განიერი სწორკუთხა ჭიქებით, თუმცა როცა საქმე სინგლ მოლტებზე მიდგება, უკეთესია კონიკის მუცელგაბერილი და ვინროყელიანი ჭიქებით გავსინჯოთ ვისკი.

სკის მოყვარული), რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს ვისკის სიმკვრივე და ზეთიანობა. თუკი საცეცები მალე ქრება - ვისკი მსუბუქია და პირიქით, ჭიქის კედელზე დიდხანს შერჩენილი წვეთები მკვრივი და ზეთიანი ვისკის ნიშანია.

შოტლანდიელებს დეგუსტაციის ხუთი ოქროს წესი აქვთ, რომელსაც ე.წ. ხუთი "S"-ის წესს ეძახიან: Sight, Smell, Swish, Swallow, Splash, ანუ გახედვა, დაყნოსვა, დაგემოვნება, გადაყლაპვა, წყლის ჩანვეთება. დაგემოვნებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ენის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა გემოს აღიქვამს. ენის წვერი - სიტკობს, ენის გვერდები - სიმლაშეს, შუა ნაწილი - სიმჟავეს, უკანა კი სიმწარეს. კარგია, თუკი ვისკის ერთ წვეთ წყალსაც დავამატებთ. ეს ერთი წვეთი სპირტის სურნელს აქარვებს და უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს ვისკის არომატებსა და გემოს.

ვისკის მაცივარში შენახვა არ შეიძლება, ისევე როგორც კარგ ვისკიში ყინულის გარევა. ასეთ შემთხვევებზე სპეცები ამბობენ, ვისკი შოკში ვარდებაო. ასევე არაა რეკომენდებული ვისკისთან, ვთქვათ "სადიას" ბარკლები, სალამის ძეხვი, ნიკორას სოსისი, ხახვიანი "სილიოდკა", საცივი, ბაჟე, მწვადი, ქაბაბი და ხინკალი. გუდის ყველზე, დამბალ ხაჭოზე და გეტყალიაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასეთ პურმარილებს ჩვენებური კახური ღვინო ანდა სულაც ჭაჭის არაყი უფრო მოუხდება. ვისკი კი ძვირი სიამოვნებაა და მის ყოველ წვეთს გაფრთხილება სჭირდება. ახლაც გული მწყდება, რამდენი კარგი ვისკის ყლუპი გამოიფუჭებია ლუდის ჩაყოლებითა თუ სხვადასხვანაირი "ზაკუსკეულით".

## შაჰის თამაში ვისკის ბოთლივით

ცალკე თემაა ვისკი და მსოფლიო ლიტერატურა. სახელოვანი მწერლების რომანებსა და მოთხრობებში ვისკის სვამენ, ნერვებს ინყნარებენ, გულ-მუცელს ითბობენ, სახეზე იპკურებენ, ჭრილობაზე ისხამენ. ვისკის სმაში ბევრს დრო

გაჰყავს ანდა სულაც ყინულების წკრილით ტკბებიან. ყველაზე ხშირად ასეთი შემთხვევები ინგლისურენოვან ლიტერატურაში გვხვდება, XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, თუმცა ფრანგებსა და იაპონელებსაც ხშირად უყვართ ხოლმე ვისკით თევზონობა. ვისკის სვამენ ინგლისურ გოთურ რომანებში, ჩარლზ მეტიურინის "მოხეტიალე მელმოტში" და სხვაგანაც, თუმცა ყველაზე ნიშნული XX საუკუნის ლიტერატურული ლითები არიან, ერნესტ ჰემინგუეის გმირებით დაწყებული - დაგლას კოუპლენდით დამთავრებული. მოდით XIX-ე საუკუნიდან დაიწყოთ, ვთქვათ, დიკენსით. მასთან ვისკის წყალთან გაზავებულს სვამენ. პიკვიკის კლუბის ჩანაწერებში ერთ-ერთ ვისკით მოვრალს

ტაოდენი შოტლანდიური ვისკით გაგვეზავებინაო." ჯოზეფ კონრადის ზღვის მგლები ვისკის კი არა თხევად ცეცხლსა სვამენ, ხოლო ივლინ ვოსთან ვისკის ხან თბილი წყლით აზავებენ, ხანაც იმბირის ელით. ეს იმბირის (ჩვენებურად ამ მცენარეს "კოჭა" ჰქვია) ელით შეზავებული ვისკი როგორც ჩანს მოდაში იყო XX საუკუნის 20-30 იან წლებში, რადგან მას ბევრი სხვა მწერალიც ახსენებს, მაგალითად, ჯონ დოს პასოსი. მის რომანში "42-ე პარალელი" ძალიან ბევრსა სვამენ ამ სითხეს, ყველაფერს ვისკის სუნი უდის, "1919"-ში კი ზოგიერთი ჩიკაგოელი ლუდის კათხებიდანაც კი ყელურნავს მას.

შერეულ ანდერსონთან ბავშვები მოცხარის ნაყენთან შერეულ ვისკის სვამენ, ზოგიერთი უფროსი კი ქალაქგარეთ მიემგზავრება, რათა ახავინ შეუშალოს ხელი ვისკისთან განმარტობაში.

ივლინ ვოს ერთი პერსონაჟი ამბობს, "თუკი ჰოსპიტალში მიდიხართ მეგობრის მოსანახულებლად და ჯიბეში ვისკი არ გიდევეთ, ჯობია საერთოდ არ მიხვიდეთ მასთანო", ჰოდა ამიტომაც, სტუმრად იქნება თუ მეგობრის მოსანახულებლად, ყველგან ვისკი დააქვთ ხოლმე, პატივითად ძირითადად ვისკიზე პატივებენ პერსონაჟები ერთმანეთს. ერთი გოგონა, სოლ ბელოუს რომანიდან, სწორედ ვისკის ამჯობინებს მარისუანას, ასე იტყვის, "არანაირი ბალახი, მხოლოდ ვისკი უნდა ვწრუპოო". ბლომად ვისკი ისმება ენტონი ბერჯესის "შექანიკურ ფორთხალშიც", ოლონდ აქ ვისკის რძითაც აზავებენ ხოლმე. ბერჯესთანვე გვხვდება ვისკის ერთი ძალზე საინტერესო, თუმცა კი

ქაჯებში ერთ-ერთი "ალქაჯი" მხოლოდ იმიტომ სვამს ვისკის, რომ მისმა მწვანე თვალებმა ოქროს ნაპერწკლებით გაანათოს, უილიამ ფოლკნერთან კი ქალის თვალის ფერს არანაირი კავშირი არა აქვს ვისკისთან, აქ ამ ქალთა ჯანი უფრო სჭირდებათ, იმიტომ, რომ ყველაზე ხშირად სწორედ მათ უწევთ ხოლმე ვისკის გამოსახდელად საჭირო წყლის ზიდვა.

ჩარლზ ბუკოვსკის ლოთი გმირები ძირითადად შოტლანდიურ ვისკის ანიჭებენ უპირატესობას - ბურბონთან შედარებით. ისინი ხან ლიმნის წვენით აზავებენ სასმელს, ხან წყლით, ხანაც თერებიან და წვიმას უსმენენ. უყვართ ე.წ. "მისაბმელით" სმა, ლუდით და სხვა ალკოჰოლური სასმელებით. აიღებენ ერთ 750 გრამიანს, ლუდის მთელ ბატარეას და ბიფშტექის შეწვამდე ნახევარი ბოთლის ჩარტყმას ასწრებენ.

ნორმან მეილერი წერს ერთგან, თუკი ვისკის სმით მოკვდები, შენი სული ქერის ყანაში მოხვედბაო, ტრუმენ კაპოტესთან კი მოხუცი გამყიდველი ჯოჯოხეთით ემუქრება ყველას, ვინც კი კარგ ვისკის ნაცხვისთვის გაიმეტებს. კენ კი-ზისთან ცუდ ვისკის მტრედის ფსელს უწოდებენ (ერთი ჩემი მეგობარი ცუდ არაყზე ამბობს, ძალის რძეაო), სხვებს კიდევ, გული წყდებათ, რომ ჩაი "ერლ გრეი" ჩაყოლეს ვისკის და პირის გემო გაიფუჭეს.

თანამედროვე მწერლებიდან, ვისკის, ყველაზე მეტს ჰარუკი მურაკამის გმირები წრუპავენ, ეტყობა ამ კაცს, რომ იაპონელობის მიუხედავად, ამერიკულ პროზაზეა გაზრდილი, რაიმონდ კარვერისა და სხვათა მოთხრობებზე, თუმცა კი ყველაზე საინტერესო სცენა ლიტერატურიდან, რომელიც ვისკის შეხება, გრემ გრინის რომანში გვხვდება, სახელწოდებით, "ჩვენი კაცი ჰავანაში". აქ ვისკის პატარა ბოთლებით განყოფილ შაშს თამაშობენ, ერთ მხარეს სუფთა სკოჩე-ბია ჩამწკრივებული, მეორე მხარეს კი ბლენდები, ყოველი აყვანილი ქვა (ანუ ბოთლი) დალევას გულისხმობს, შესაბამისად "დამკა" ორი ბოთლია, ასე რომ, რაც უფრო მომგებიანი პოზიცია გაქვს, მით მეტი მანსია რომ გავიტრიტო.

უსასრულოდ შეიძლება ვისკით მოვრალ პერსონაჟებზე წერა, რადგან წლების მანძილზე მართლაც დიდძალი მასალა დამიგროვდა ამის შესახებ და ალბათ, კიდევ ბევრჯერ გადავეყრები ვისკით თვალეზანთებულ გმირებს. ამიტომ აქ შევწყვიტავ ამ გაუთავებელ ჩამონათვალს და ერთი რჩევით დავასრულებ ნერილს: შეურევლ ვისკის ისეთივე სიამოვნება შეუძლია მოგვანიჭოს, როგორც წყალუკრავ, ნამდვილ ლიტერატურას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მასში ნახსენები "სიცოცხლის წყალი". მთავარია იმდენი დავლიოთ, რომ ნახახუსეზე ვისკის ეტიკეტის წაკითხვა მაინც მოვახერხოთ.

P.S. შემდეგ ნომერში "შვიდნახადის" მეორე წევრზე, არაყზე მოვითხრობთ.



თანამედროვე მწერლებიდან, ვისკის, ყველაზე მეტს ჰარუკი მურაკამის გმირები წრუპავენ, ეტყობა ამ კაცს, რომ იაპონელობის მიუხედავად, ამერიკულ პროზაზეა გაზრდილი.

მოჩვენებაც კი გამოეცხადება, არტურ კონან დოილთან კი ძალიან მახვილგონივრული შენიშვნა გვხვდება. იქ ერთი ასაკოვანი შოტლანდიელი ახალგაზრდა ირლანდიელს ურჩევს, "კარგი იქნებოდა თქვენი ირლანდიული სისხლი, ცო-

გამოგონილი, ლიტერატურული წარმოშობის სახეობა "Old Mortality". საქმე ისაა, რომ ეს სახელი ჰქვია ვალტერ სკოტის ერთ პერსონაჟს, მოხუც მესაფლავეს, ამავე სახელწოდების რომანიდან. ჯონ აბდაიკის "ისტუიკელ აღ-

კლუბები/რესტორნები

დღეს

კლუბი მასპინძლობს მე-6 საერთაშორისო ახალგაზრდული მოკლე ფილმების ფესტივალს - "სესილი"; ჩატარდება მასტერ-კლასი: CTB-ს წარმომადგენელი, მთავარი კოორდინატორი ვალერი ფედოროვიჩი; დასაწყისი: 19:00; 21.05.06 - მხოლოდ ფესტივალის მონაწილეებისათვის: ღია კარის დღე! ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 22:00 დიჯეი ფართი და დისკოთეკა. მიმტანები: - ქართველი და უცხოელი მოდელები. მუდმივად ეკრანზე ფეშენ TV; ყოველ ხუთშაბათს: Ladies night საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - განახლებული მენიუ და ლუდების ფართო არჩევანი;

რუსთაველის გამზირი 18; ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70); ავტოსადგომი უფასოა.

დღეს

"ასა ფართი" (სუხიშვილები), დასაწყისი: 22:00; ბიზნესლანჩი: 11:00-დან 18:00-მდე ორშაბათი-ხუთშაბათი. პარასკევი/შაბათი/კვირა: 22:00 ცოცხალი მუსიკა; ქართული ესტრადის ვარსკვლავები და მონვეული სტუმრები; ლათინოფართი. დისკოთეკა: 24:00 დიჯეი დაჩი; მეტეხის 22; ტ.: 27 36 26; მობ.: 877 75 44 00

იხსნება: 14:00; ცოცხალი მუსიკა: 20:00; ორშაბათი/სამშაბათი - თინეიჯერებისათვის; ხუთშაბათი/შაბათი - ქართული მელოდიები: უკრაინა ბენდი, ვოკალისტი ყოველდღე იცვლება, ფასი: 5 ლარი; პარასკევი/შაბათი - კონცერტი, ფასი: 30 ლარი; კვირას - კარაოკე, ფასი: 10 ლარი. 26.05.06 - მაგდა ნიკოლეიშვილის დებიუტი, დასაწყისი: 20:00; 27.05.06. - დავით გომართელი, დასაწყისი: 21:00.

ფალიაშვილის 33ა; ტ.: 99 60 02

დღეს

Babba და Bero, დასაწყისი: 22:00. მუშაობს: პარასკევი/შაბათი; იხსნება: 20:00; DJ ფართი: 24:00; ერთ დღეს ქართველი, მეორე დღეს - უცხოელი DJ; ფასი: ბიჭი 25 ლარი, გოგონა 15 ლარი; 21 წლამდე ახალგაზრდების შესვლა სასტიკად აკრძალულია; მკაცრი "ფეის კონტროლი"; მენიუ: ქაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალატები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი 1000-მდე სტუმარს იტევს. აქვს 300 დასაჯდომი ადგილი და 10 VIP მაგიდა. შესაძლებელია მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს 2 ბარი; გამოირჩევა თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი ლაზერული განათება; 26.05.06. - HARDY HARD (Berlin, Germany); 27.05.06. - ANTON BEGOWAT (Moscow, Russia).

მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბართაშვილის ხიდი / ტ.: 92 30 16; საკუთარი ავტოსადგომი.

ღია: 14:00 სთ-დან; ცოცხალი მუსიკა: 20:00; გთავაზობთ ტრადიციული ქართული კერძების ფართო არჩევანს.

საუკეთესო ადგილი დაბადების დღეებისა და ყველა სახის წვეულებებისათვის. იტევს 600-მდე სტუმარს. 26.05.06-ნატო გელაშვილის ახალი ალბომის "აყვავდება როცა ნუში" პრეზენტაცია (ნატო გელაშვილი და გიო ხუციშვილი სოლო პროგრამით), დასაწყისი: 20:00 საათზე, შესაძლებელია ბილეთების დაჯავშნა. ტ.: 899 708 801.

მტკვრის მარცხენა სანაპირო, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია; ტ.: 899 708 801.

აქვს ავტოსადგომი.

კაფეინი

ქაფეინი ურთიერთობის ფორმები

ყველასათვის საყვარელი შოკოლადი, მიუხედავად მისგან დამზადებული პროდუქციის მრავალფეროვნებისა, სულ სამი სახისაა: შავი (ე.წ. კლასიკური, მწარე), რძიანი და თეთრი. შავი შოკოლადი ძალიან მცირე მინარევს შეიცავს, პრაქტიკულად შოკოლადის ხის სუფთა ნაყოფია და ამიტომაც აქვს მომწარო გემო; რძიანი შოკოლადი შეიცავს რძეს, ხოლო თეთრს კი თითქმის მთლიანად გამოცლილი აქვს კაკაო და დამატებული აქვს რძე (ამიტომაც აქვს თეთრი ფერი).

შოკოლადი, ფართოდ გავრცელებული აზრისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს დიეტურ პროდუქტს. თუმცა, შავი შოკოლადი, სხვებისაგან განსხვავებით, მართლაც ნაკლებ კალორიულია და შესაბამისად, ყველაზე სასარგებლოც. შოკოლადი აწყნარებს ნერვებს, კვებავს ტვინს, ააქტიურებს სისხლძარღვთა სისტემის მოქმედებას და ორგანიზმს ეხმარება ენერჯის აღდგენაში. ამიტომ ის, კონკრეტულ დოზებში, ყველასათვის სასარგებლოა-განსაკუთრებით ბავშვებისთვის. შოკოლადი ასევე შეუცვლელია ინტელექტუალური შრომით დაკავებული ადამიანებისათვის, სტუდენტებისათვის, რომელთაც დიდი ინფორმაციის ათვისება უნევთ და მათთვის, ვინც ფიზიკურად შრომობს. შოკოლადს ხშირად ბედნიერების ელექსირსაც უწოდებენ, რადგან ის ხელს უწყობს ე.წ. ბედნიერების ჰორმონების წარმოქმნას ორგანიზმში და კარგ განწყობაზე გვაყენებს, რაც ოდითგანვე კარგად იცოდნენ ფრანგებმა და ამიტომაც დიდი როლი ითამაშეს მისი ტექნოლოგიის დახვეწასა და ასორტიმენტის ზრდაში. რაც შეეხება სახელგანთქმულ ცხელ შოკოლადს, ის ძირითადად შავია და აქვს სხვადასხვა დანამატები გემოვნების მიხედვით. ეს შეიძლება იყოს: რძე, ბუნდი, მისაკი, დარიჩინი, შავი პილპილი (რა გასაკვირიც არ უნდა იყოს), ქოქოსი და ქოქოსის რძე, რომელიც განსაკუთრებით თეთრ შოკოლადს უხდება. შოკოლადთან ძირითადად ყავას მიირთმევენ. უმეტესწილად ე.წ. ნალექიანს. თუმცა,



ნითელი ნახევრადტკბილი ღვინო მას არანაკლებ უხდება და პიკანტურ გემოს აძლევს. შოკოლადს ასევე ძალიან უხდება ხილი. შავ შოკოლადს განსაკუთრებით კარგად ეთავსება ალუბალი და მარწყვი, რძიანს-ბანანი, ხოლო თეთრს-ლიმონი, ფორთოხალი და საერთოდ ნებისმიერი ციტრუსი. გასსოვდეთ! შოკოლადი ვერ იტანს ძალიან მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებას. ამიტომ მის გასაცხელებლად ყველაზე მაღალი და შესაბამისად ოპტიმალური ტემპერატურა 55 გრადუსია. რეგულარულად შოკოლადის ფანტაზიცი სწორედ ამ ტემპერატურაზე გამთბარი შოკოლადი მოედინება. თუმცა, ზოგს უფრო ცხელი შოკოლადი მოსწონს. ამისათვის მას აუცილებლად რძე ან ნაღები უნდა დაემატოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შოკოლადი დანივება და გემოს დაკარგავს. შოკოლადს ხშირად სასმელთაგან ასევე უხდება, მაგრამ მასში ალკოჰოლის ჩარევა მხოლოდ გაცხელების შემდეგ შეიძლება და არა მანამდე. თუ შოკოლადს ყავას მივაცოვებთ, ის აუცილებლად უშაქრო უნდა იყოს, რომ მათ ერთმანეთს გემოს ხაზი გაუსვან. ეს ძირითადად შავ შოკოლადს ეხება, რძიანი და თეთრი შოკოლადი, როგორც წესი, ყავის სიმწარეს პირიქით არბილებს. გემრიელია შოკოლადი შედედებული რძითაც, რომელიც უფრო თეთრ შოკოლადს უხდება. რაც შეეხება ასე აქტიურად სამარხვო შოკოლადს, იცოდეთ, რომ ნებისმიერი შავი შოკოლადი სამარხვო არ არის, რადგან გარკვეული დოზით მას ცხოველური ცხიმი ერევა, რაც მისი შენახვისათვისაა საჭიროა. მხოლოდ სოიოს ცხიმოვანი შოკოლადია ნამდვილად სამარხვო და ამიტომ აუცილებლად ნაიკითხეთ ეტიკეტზე წარწერა, რომელზეც ეს ინფორმაცია ყოველთვის მითითებულია. საუკეთესო შემთხვევაში სამარხვო ნამცხვრებიცა და კრემებიც სოიოს რძეზე უნდა დამზადდეს. ასე რომ, თამამად მიირთვიეთ შოკოლადი, დანიწნარეთ ნერვები და იყავით ბედნიერი.


მალაჩიები

კაფე / საკონდიტრო

ექსკლუზიური ფრანგული კაფე-საკონდიტრო გთავაზობთ ფრანგული საკონდიტრო ნაწარმის არაჩვეულებრივ ასორტიმენტს: ყველანაირი შოკოლადი, ტორტები, ნამცხვრები, კრუასანები, ფუნთუშები და სახელგანთქმული ფრანგული პურის მრავალსახეობას: ბაგეტი, ჯაბეტა, ფრანგული სოფლის პური, სენდვიჩის, ჰამბურგერისა და პოთდოვის პურები, აგრეთვე, ნივრიანი, ხახვიანი, პომიდორიანი, ზეთისხილიანი პური და პური ნივრებით. კაფეში შეგიძლიათ ივმით შემდეგი დელიკატესები: ფრანგული ტრისტები ხიზილილით, ტაფაზე აფრთხილი კრევეტები ნივრიან ღვინოში, ასევე სოკო და თევზი (9.0-18 ლარამდე), ზონინგები(crepes) სხვადასხვა სოუსით(8.80-10.40ლარამდე); შოკოლადის პიცა ყველა სახის შოკოლადით(10.90 ლარი), შოკოლადის სუფი გრენკებით, რომელიც განსაკუთრებით მოსწონთ ბავშვებს (8.40 ლარი) და დესერტი: მეოცნებე ანანასი შოკოლადში(21 ლარი), გედების ტაბა შოკოლადში (11.20 ლარი), ბელგიური შავი და თეთრი ვაფლი ბანანით, სხვადასხვა სოუსში (9.80), ხილის ასორტი შოკოლადში, შამფურზე (8.60 ლარი) და შოკოლადის ფანტაზია (გამდნარი თბილი შოკოლადი). აქვე შეგიძლიათ შეარჩიოთ და შეუკვეთოთ ნებისმიერი სახის შოკოლადი და ნამცხვარი თქვენთვის, ასევე საჩუქრად, სახლში მიტანით და ადგილზე მომსახურებით (მზარეულის თანხლებით).

ღია: დილის 8 საათიდან;

ჭავჭავაძის 2; ტ.: (+995 32) 22 25 50, (+995 32) 23 04 47.



ტანსაცმელი

გთავაზობთ: სპორტული და ნახევრად სპორტული ტანსაცმლის ფართო არჩევანს: მაისურები, ქურთუკები, შარვლები, პერანგები, ქვედაბოლოები, ჯინსები, ქუდეები, ჩანთები, ქამრები, წინდები. საცურაო აუზებისა და ზღვისთვის: საცურაო კოსტიუმები, სათავსები (აუზის და მზის), შორტები, შლო-პანცები, კეპები, პირსაცმელები (აუზისთვის). სი-ახლე სამთო ტურიზმის მოყვარულთათვის! ავსტრიული ფირმის "NORTHLAND professional"-ის კარგები, ზურგჩანთები, საძილე ტომრები, სამზავრო ჩანთები ხანგრძლივი მოგზაურობისა და პიკნიკებისათვის, რომლებშიც უსაფრთხოდ და კომპაქტურად შეგიძლიათ მოათავსოთ მოგზაურობისთვის საჭირო ქურტყე-თიფები, ჭიქები, დანა-ჩანგალი, კოვზები). აგრეთვე, შესაბამისი ფეხსაცმელები და აქსესუარები მთასვლელებისათვის: ბრელოკი-გასახსნელები, სასტვენები, მობილური ტელეფონის საკიდები, პატარა ჩანთები, სანვიმარი ლაბადები, თავზე დასამარებელი ფანრები.

ღია: 11:00-დან 19:00-მდე; კვირას: 12:00-დან 18:00-მდე;

ჭავჭავაძის 56; ტ.: 25 06 18.

პარფიუმერია / კოსმეტიკა

გთავაზობთ: მხოლოდ L'OREAL, GARNIER და MAYBELLINE -ის კოსმეტიკას, სხეულის, სახის კანისა და თმის მოვლის საშუალებებს. სიახლე: L'OREAL-ის ტონალური კრემი infallible. 4 ტონი და არნახული ეფე-



ქტი. ასეთი შედეგი თქვენ ჯერ არ გინახავთ. იგი საუკეთესოდ ფარავს კანის დეფექტებს და დალილობას და თქვენ უზადოდ გამოიყურებით 16 საათის განმავლობაში. ფასი: 29.40 ლარი. 40%-იანი ფასდაკლება კიდევ ერთი თვე; შესაძლებელია საღამოს მაკიაჟის გაკეთება- ფასი: 40 ლარი. ღია 11:00-დან 20:00-მდე; კვირას: 11:00-დან 16:00.

რუსთაველის 46; ტ.: 99 02 62.

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ: Dior, Guerlain, Givenchy, Kenzo, Boss Hugo Boss, Laura Biagiotti, Giorgio Beverly Hills, Lacoste, Yohji Yamamoto, Jean Patou, Valentino, Max Factor, Lancome, Biotherm, Cacharel, Armani, Ralph Lauren, Guy Laroche, Paloma Picasso, Lanvin, GF

Ferre, Adidas, Pierre Cardin, Celine Dion, Isabella Rossellini and Rimmel-ის და ახლა უკვე Colistar-ისა და Leocrema-ს პარფიუმერულ ნაწარმსა და კოსმეტიკურ საშუალებებს. აგრეთვე, მის სადისტრიბუციო ქსელში იყიდება: Chanel, Jean-Paul Gaultier, Escada, Carolina Herrera, Dolce & Gabbana, Gucci, Fendi. ყურადღება! სექტემბრიდან - დიორის კომპანია "დიორ რუჟ" ახალი შეფუთვით; ღია: 10:00-დან 21:00-მდე;

თბილისში: მარჯანიშვილის 19, რუსთაველის 46, ჭავჭავაძის 42, გამსახურდიას 27, ნერეთლის 117, ვაჟა-ფშაველას 35, მელიქიშვილის 18; მალე ლესელიძის 51/1; ბათუმში: გრიბოედოვის 8, გამსახურდიას 23. ტ.: + 995 32 25 10 40; ფაქსი: + 995 32 25 34 36.

გალერეა / მუზეუმი

თანამედროვე ქართული ტინერული მინანქრისა და ფერწერის გალერეა გთავაზობთ: ოქროსა და ვერცხლში შესრულებულ ტინერული მინანქრის სამკაულებს(საავტორო ნამუშევრები) და ქართველი კლასიკებისა და თანამედროვე ქართველი მხატვრების ფერწერულ ტილოებს. გალერეასთან ფუნქციონირებს მინანქრის ტექნიკის შემსწავლელი სახელოსნო-სტუდია. 22.05.06-დან 26.05.06-მდე საქართველოს პრემიერ მინისტრის ვიზიტის ფარგლებში, ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ კერძო გალერეაში (Bentley and Skinner), პირველად თანამედროვე ქართული მინანქრის ისტორიაში მოეწევა ყველაზე მასშტაბური გამოფენა. წარმოდგენილი იქნება 100-მდე ნამუშევარი. ღია: 12:00-დან 19:00-მდე;

ლესელიძის 42; ტ.: 75 52 59.

დღეს

თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არსებული გობელების გალერეა-მუზეუმი "თინათინი" გთავაზობთ მათა ბალათურის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენა-გაყიდვას "ბატიკის მრავალფეროვანი სამყარო" (26.05.06-მდე). წარმოდგენილი იქნება ბატიკაში შესრულებული: მხატვრული პანოები, დეკორატიული ნივთები, დიზაინერული ობიექტების გაფორმება ბატიკით და სხვადასხვა საოჯახო აქსესუარები. იხსნება: 17:00; გალერეა ღია: 12:00-დან 22:00-მდე;

შარდენის 19; ტ.: 92 01 67.

ჩვენნი არჩეONE-ის იმპრესარიო მათა კაპანაძე 899 95 57 67